186
989/2

2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

322

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი — აგვისტო 1989 წ.

19986

## შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

58. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59. ქ. თბილისის პანთეონებში დაკრძალვის წესის შესახებ.
60. სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ.
61. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
62. საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ხელფასის სახსრების სრული ანაზღაურების ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ.
63. საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მაისის № 350 და 1983 წლის 6 სექტემბრის № 611 დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378 და 1988 წლის 30 დეკემბრის № 671 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებების შეტანის შესახებ.

66. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა პერსონალური სარგოების საკითხზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

67. საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილების მოქმედების ქ. რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებზე გავრცელების თაობაზე.

68. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

69. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობად გარდაქმნის შესახებ.

70. 9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი ტრაგედიისა და დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ.

71. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ.

72. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის შექმნის შესახებ.

73. ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეისათვის დ. ნ. კაკაბაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

74. სამსახურებრივ მივლინებათა საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

75. სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ.

76. საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საავტორო საზოგადოების შექმნის შესახებ.

77. „საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

78. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაციის „ჯავახეთის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

79. საქართველოს სსრ სახალხო ფრონტის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

80. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამეცნიერო კულტურის საერთაშორისო ცენტრი — მსოფლიო ლაბორატორია“ სსრ კავშირის განყოფილების ფილიალის — სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის შესახებ.

81. საქართველოს ასპირანტთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

82. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ყოველწლიური გამოყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის დ. ი. ყიფიანის სახელის მიკუთვნების შესახებ.

84. ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. ს. გვარჯალაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

85. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და მატერიალური ბაზის შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## 58 ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს შემუშავებული და რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა.

2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება.

3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით.

4. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

5. პროგრამა და დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **გ. გუმბარიძე** | **ო. ჩერქეზია** | **ნ. ჩიტანავა** |

ქ. თბილისი, 1989 წ. 15 აგვისტო, № 427

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| **I. ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი** | | |
| 1. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში | შესაბამისი ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელები | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო |
| 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა | სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |
| 5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის — სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

| საკითხი | შემსრულებელი | საკონტროლო |
| --- | --- | --- |
| 6. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში | შესაბამის დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები | სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოები |
| 7. „ქართული ენის დღის“ დაწესება ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში; გამოიცემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“) | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო |
| **II. ქართული ენის მეცნიერული შესწავლა** | | |
| 1. ქართული ენის აკადემიური კურსის დამუშავება (მრავალტომეული) | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 2. ენციკლოპედიის „ქართული ენა“ მომზადება და გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 3. ქართული ენის სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 4. ქართული ენისა და კულტურის პრობლემატიკის კვლევა | თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველ- | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
| --- | --- | --- |
| | ლის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი | |
| 5. ქართული ენის კომპიუტერული ფონდის, ქართულიდან და ქართულად თარგმნის ავტომატიზებული სისტემებისა და ქართული შრიფტით უზრუნველყოფილი კომპიუტერიზებული კომპლექსის შექმნა; ქართული ენის სწავლების ავტომატიზაციისათვის გამიზნული ავტომატური ცნობარების დამუშავება; ქართული მეტყველების კომპილაციური სინთეზის დამუშავება | თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 6. ქართველური (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) ენებისა და დიალექტების მეცნიერული შესწავლა გენეტიკური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენა და დიალექტური ტექსტების გამოსაცემად მომზადება; ეთნოგრაფიული რეალიებისა და დიალექტური ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონის (მრავალტომეულის) მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებში (ირანში, თურქეთში...) ქართველთა კომპაქტური დასახლების რეგიონებში ქართული მეტყველების მეცნიერული შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 7. ქართული ენის განმარტებითი, ისტორიული, ეტიმოლოგიური, ორთოგრაფიული, იდეოგრაფიული, დარგობრივი (ილუსტრირებული), სინონიმთა, ომონიმთა, ანტონიმთა, ხატოვან სიტყვა-თქმათა, ტერმინოლოგიური (ქართული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, გერმანულ-ქართული), თარგმნითი, აბრევიატურისა და შემოკლებათა, სიხშირის ლექსიკონების დამუშავება და გამოსაცემად მომზადება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 8. ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების, სიმფონიებისა და სიმფონია-ლექსიკონების მომზადება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 9. ქართულ ენაზე დარგობრივი ენციკლოპედიებისა და ცნობარების მომზადება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 10. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 11. ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების აკადემიურ გამოცემათა მომზადება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი, გამომცემლობა „მეცნიერება" | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწერალთა კავშირი |

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
| --- | --- | --- |
| 12. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერული შესწავლა და აკადემიური გამოცემა (რეგულარულად); „ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაცია პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, თეატრის, სპეციალური კონკურსების საშუალებით | „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირები, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოება, საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის ფილიალი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 13. ქართული ენის ფუნქციური სტილების მეცნიერული შესწავლა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 14. ქართველურ ენათა ონომასტიკის მეცნიერული შესწავლა, ონომასტიკური ლექსიკონების, (ერთტომეულებისა და მრავალტომეულების) შედგენა-გამოცემა; საქართველოს სსრ ტოპონიმიის შეგროვება, მეცნიერული დამუშავება და საქართველოს სსრ ტოპონიმთა ლექსიკონის (მრავალტომეულის) შედგენა-გამოცემა; გეოგრაფიული პუნქტების სახელდების მეცნიერული პრინციპებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება | თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ტოპონომიკის ლაბორატორია — ონომასტიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |





ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 15. პერსონალური ენციკლოპედიების მომზადება და გამოცემა (შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) | ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 16. ქართველურ ენათა ლინგვისტური ატლასის მომზადება და გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 17. ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეთა თხზულებების აკადემიურ გამოცემათა მომზადება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 18. ქართული ენის შესახებ მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია: საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ,საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 19. საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდიუმთან ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს შექმნა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 20. სამეცნიერო სამუშაოთა კოორდინაციის, ინფორმაციის გაცვლისა და დისკუსიის მიზნით ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სესიების მოწყობა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| **III. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში** | | |
| 1. სკოლამდელი დაწესებულებების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ქართული მეტყველების განვითარების პროგრამების შედგენა, სათანადო ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალის მომზადება ქართულ ენაზე | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 2. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სკოლამდელი აღზრდის სპეციალობისათვის ქართული ენის განახლებული სასწავლო პროგრამების, გეგმებისა და სახელმძღვანელოების დამუშავება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 3. ქართული მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა და მეთოდისტთა ატესტაციის ჩატარება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 4. რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის განახლებული პროგრამების შედგენა, მათ შესაბამისად ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების და ქრესტომათიების მომზადება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 5. საშუალო სკოლების I–XI კლასებში ქართული ენის ეტაპობრივი სწავლების ერთიანი გეგმის შემუშავება (მართლწერა და მეტყველება, ფონეტიკა, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ქართული ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ძირითადი საკითხები, ენათმეცნიერების თეორიული საკითხები) | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 6. კლასგარეში საკითხავი კრებულების, თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტორეპროდუქციების, ქართული გრამატიკის ტაბულებისა და პლაკატების) მომზადება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 7. რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების შექმნა და მათი აღჭურვა ახლად გამოსული სამეცნიერო და პედაგოგიკური ლიტერატურით | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 8. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების ჩამოყალიბება; ქართული მეტყველების კულტურისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვითი კურსების შემოღება ყველა სპეციალობის სტუდენტებისათვის | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 9. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტებზე შემსწავლელი აბიტურიენტებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო წერითი და ზეპირი გამოცდების დაწესება. სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ ინსტიტუტსა და კონსერვატორიაში, აგრეთვე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო წერითი გამოცდის დაწესება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 10. რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის ყველა სასწავლო დისციპლინაში ქართულ ენაზე ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |



შეკ. 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 11. რესპუბლიკის საშუალო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფების 25-მდე მოსწავლითა და სტუდენტით დაკომპლექტების ორგანიზაცია | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 12. ენათა სწავლების საკითხების მომწესრიგებელი საკოორდინაციო სამსახურის შექმნა აღზრდისა და სწავლა-განათლების სისტემაში | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 13. კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 14. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში არაქართული სექტორების აბიტურიენტებისათვის მისაღები გამოცდების წინ გასაუბრების შემოღება ქართულ ენასა და ლიტერატურაში გასაუბრების ფორმა შეირჩეს რექტორატის მიერ) | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 15. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის არაქართულ სექტორებზე ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსების შემოღება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 16. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე სინქრონული თარგმნის კურსების (ქართულ-რუსული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-გერმანული, ქართულ-ფრანგული, ქართულ-ესპანური) შექმნა | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 17. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი, ორთოგრაფიული, ხატოვან სიტყვა-თქმათა, საგნობრივ-ილუსტრირებული, ტერმინოლოგიური, უცხო სიტყვათა და თარგმნითი (ქართულ-რუსული და რუსულ- | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| ქართული, ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულ-ქართული) ლექსიკონებისა და შესაბამისი სასაუბროების დამუშავება და გამოსაცემად მომზადება | აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი | |
| 18. ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის დარგში სამეცნიერო შრომათა კრებულის დაარსება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 19. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე სამეცნიერო-მეთოდიკური სესიებისა და კონფერენციების მოწყობა | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 20. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფებისათვის ქმედითი დახმარება სათანადო ლიტერატურით მომარაგება, გამსვლელი სასწავლო-მეთოდიკური სესიების მოწყობა...) | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 21. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოებისა და თვითმასწავლებლების მომზადება | თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 22. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისა და სწავლების გაღრმავების მიზნით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |



შეკ. 58

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 23. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან) ქართული ენის წრეების ჩამოყალიბება და მათი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით უზრუნველყოფა | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია |
| 24. საქართველოს სსრ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებსა და პიონერთა სასახლეებში ყოველწლიურად ქართული ენის ოლიმპიადების მოწყობა | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| 25. საზღვარგარეთის სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოებისა და საქართველოს შესახებ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა-მომზადება | თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი | საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება |
| 26. ქართული ენის საერთაშორისო საზაფხულო სკოლისა და უცხოელთათვის ქართული ენის ინტენსიური შესწავლის კურსების ჩამოყალიბება | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია |
| **IV. რადიომაუწყებლობა, ტელევიზია და კინემატოგრაფია** | | |
| 1. ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხების გაშუქების მიზნით ყოველკვირეული რადიო და ტელეგადაცემების შემოღება რუბრიკით „დედაენის სამრეკლო" | საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

19286

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 2. საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის არხების სიმძლავრის გაზრდა ქართული გადაცემების საქართველოს სსრ ყველა დასახლებულ პუნქტში მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 3. ქართულენოვან საბავშვო ტელეგადაცემათა შემდგომი გაფართოება | საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 4. საქართველოს ტელევიზიის არაქართულენოვანი გადაცემების (მიმოხილვების, საუბრების, მხატვრული ფილმების) ქართულ ენაზე გასახმოვანებლად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, დამატებითი საშტატო ერთეულისა და საჰონორარო თანხის გამოყოფა | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 5. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო ფილმების შექმნა ქართულ ენაზე; რუსულენოვანი სასწავლო ფილმების გახმოვანება ქართულად | საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 6. რუსულ და უცხოურ ენებზე გახმოვანებული კინოფილმებისათვის ქართულენოვანი სუბტიტრების შესაქმნელად და ქართულ ენაზე ფილმების გასახმოვანებლად კინოსტუდია „ქართული ფილმის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება გაფართოება | საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რესპუბლიკის მომარაგების მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| **V. პრესა** | | |
| 1. რესპუბლიკურ პრესაში ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხების გაშუქება | რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციები | საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი |
| 2. რესპუბლიკურ პრესაში სპეციალური რუბრიკის შემოღება, რომელშიც გამოქვეყნდება მასალები ქართული ენის ისტორიის, თანამედროვე პირობებში ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის შესახებ | რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციები | საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი |



შეკ. 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
| --- | --- | --- |
| 3. რედაქციების უზრუნველყოფა სტილისტთა შტატებით | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| **VI. კავშირგაბმულობა** | | |
| 1. რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელის ქართულშრიფტიანი აპარატებით უზრუნველყოფა | თბილისის სკკპ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| სატელეფონო ქსელის აბონენტთა სიის გამოცემა ქართულ ენაზე | საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო |
| **VII. ტექნიკური აღჭურვილობა და თვალსაჩინოება** | | |
| 1. რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, საწარმო-დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის აღჭურვა ქართული შრიფტით უზრუნველყოფილი ახალი ტიპის ფერადი გრაფიკის მქონე კომპიუტერებითა და ქართული ენის კომპიუტერული ფონდის სასწავლო ქვესისტემებით | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, გამოყენებითი ავტომატიზებული სისტემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასწავლო ფონოტეკის შექმნა (ფონოქრესტომათია, არაქართველთათვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, ზეპირი მეტყველების განვითარება და სხვ.), სათანადო გრამფირფიტების, დიაფილმების, დიაპოზიტივებისა და ვიდეოკასეტების მასობრივად დამზადება | საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის ფილიალი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 3. ქართული შრიფტის ცენტრალიზებული წარმოება და მისი გამართვა საბეჭდ მანქანებზე | საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხანა | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 4. ქართული წერის ნიმუშების (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) ალბომების მასობრივი ტირაჟით გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 5.. ქართველურ ენათა ლინგაფონური კაბინეტების შექმნა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 6. ქართველურ ენათა დიალექტების შემსწავლელი ექსპედიციების აღჭურვა შესაბამისი ტრანსპორტითა და აპარატურით (სტაციონალური და პორტატული მაგნიტოფონები, მაგნიტოფირები, კინო და ფოტოაპარატურა) | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 7. ქართული ხალხური სიმღერების სისტემატური ჩაწერა და მასობრივი ტირაჟით გამოცემა | საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის ფილიალი | საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო |
| 8. ქართულ ენაზე ტურისტული გზამკვლევების ცნობარებისა და რუკების გამოცემა | საქართველოს სსრ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო | საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო |
| 9. საქართველოს სსრ სასკოლო ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, კარტოგრაფიის ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 10. საქართველოს სსრ ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |



შეკ. 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 11. სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის ქართულ ენაზე რუკების (ისტორიული, ფიზიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ლინგვისტური) მომზადება და გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები, კარტოგრაფიის ფაბრიკა | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 12. გლობუსის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |
| 13. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასის მომზადება და გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| **VIII. საგამომცემლო საქმე** | | |
| 1. ქართული ენის აკადემიური კურსის გამოცემა | გამომცემლობა „მეცნიერება" | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი |
| 2. ენციკლოპედიის „ქართული ენა" გამოცემა | ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ გამსახკომი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 3. სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა | საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება" | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 4. თარგმნითი ლექსიკონებისა და სასაუბროების (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური, ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური, გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული, ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრან- | გამომცემლობა „განათლება"<br>გამომცემლობა „მეცნიერება" | საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| გული, ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური, ესპანურ-ქართული და ქართულ-ესპანური, იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური, ბერძნულ-ქართული და ქართულ ბერძნული, ლათინურ-ქართული და ქართულ-ლათინური, სომხურ-ქართული და ქართულ-სომხური, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული) გამოცემა | | |
| 5. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ განსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 6. უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ განსახკომი |
| 7. ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური ლექსიკონების გამოცემა | გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ განსახკომი |
| 8. სასკოლო განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, ხატოვან სიტყვა-თქმათა, უცხო სიტყვათა და თარგმნითი ლექსიკონებისა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული...) და სასაუბროების გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ განსახკომი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის (ორტომეული) გამოცემა (ხელმოწერით) | გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 10. სულხან-საბა ორბელიანის გამოკრებილი ლექსიკონის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ განსახკომი |
| 11. ძველი ქართული ენის ლექსიკონის გამოცემა | გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 12. ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის გამოცემა (ათტომეული) | გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა (ერთტომეული) | ქართული საბჭოთა ენციკლოპედია | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა (რვატომეული) | საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია |
| 15. ქართული სტენოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 16. პირთა ანოტირებული ლექსიკონის (რვატომეულის) გამოცემა (ხელმოწერით) | გამომცემლობა „მეცნიერება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 17. სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შესაბამისი ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 18. საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე ყველა დისციპლინაში სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 19. კლასგარეშე საკითხავი კრებულების (ქრესტომათიების), თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელნაწერების ნიმუშების, ფოტორეპროდუქციების, ქართული ენის გრამატიკის ტაბულებისა და პლაკატების) გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 20. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის ქართული ენის თვითმასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა | გამომცემლობა „განათლება“ | საქართველოს სსრ გამსახკომი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლი |
|---|---|---|
| 21. ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა (რჩეული თხზულებების, თხზულებათა მრავალტომეულების) | გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 22. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების ქართულ ენაზე თარგმანების გამოცემა | გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 23. მსოფლიოს ხალხთა ენებზე ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ საცნობარო პოპულარული ბროშურებისა და ლექსიკონების გამოცემა | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |
| 24. ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ნაშრომების ტირაჟის დადგენა შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით | „საქწიგნი" | საქართველოს სსრ გამსახკომი |
| 25. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ბაზაზე ქართული ენისა და ლიტერატურის რედაქციის შექმნა | საქართველოს სსრ გამსახკომი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| **IX. საბიბლიოთეკო საქმე** | | |
| რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მაქსიმალურად დაკომპლექტება ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ლიტერატურით | საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო | საქართველოს სსრ გამსახკომის კოლეგია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია |
| **X. საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფერო** | | |
| 1. საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში ქართული ენის საყოველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა | შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| საკითხი | შემსრულებელი | კონტროლ[illegible] |
|---|---|---|
| 2. საყოველთაო სარგებლობისათვის ქართულ ენაზე გაფორმდეს ყველა სახის ბლანკი, ფორმა, ანკეტა, ქვითარი, აბონემენტი, ტალონი, ბილეთი, ფირნიში, აბრა, სარეკლამო წარწერა, ეტიკეტი, დასმაჩვენებელი, აფიშა, პლაკატი, ლოზუნგი, კონვერტი, დეპეშის ბლანკი, ღია და მისალოცი ბარათი, კალენდარი; პირადობის მოწმობა; ბლოკნოტი, წიგნაკი, რვეული; ინსტრუქცია-მითითება; სარეკლამო და სამახსოვრო ბუკლეტი; მოსაწვევი ბარათი | ყველა ტიპის ორგანიზაციები და უწყებები | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 3. რესპუბლიკაში გამოშვებული ყველა სახის პროდუქციის ქართულენოვანი ინსტრუქციით უზრუნველყოფა | შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
| 4. კონტროლის დაწესება რესპუბლიკაში დამზადებული ყველა სახის პროდუქციის სახელწოდებებზე | შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შემსრულებელ ყველა ორგანიზაციასა და უწყებას ევალება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში 1989 წლის ბოლომდე წარმოადგინოს ღონისძიებათა შესრულების კონკრეტული გეგმები ვადების მითითებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 59 ქ. თბილისის პანთეონებში დაკრძალვის წესის შესახებ

ქ. თბილისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში დაკრძალვის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ქ. თბილისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში დაკრძალვის საკითხის გადაწყვეტა გადაეცეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 6 ივლისი, № 333

## 60 სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის მიერ მოწონებული დებულება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მუშაკთა პრემირების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 7 ივლისი, № 337

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 7 ივლისის № 337 დადგე-
ნილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის მიერ მოწონებული დროებითი ტიპობრივი დებულების (1986 წლის 25 ნოემბრის № 34 ოქმი) საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1987 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი მატერიალური დაინტერესება სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებითა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიღწევათა დანერგვის საფუძველზე, პროდუქციის ხარისხის კარდინალური გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, დარგის გაერთიანებათა და საწარმოთა მომგებიანობის გადიდებით ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ამოცანების შესაბამისად.

1. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს (მინისტრსა და მის მოადგილეებს, სამმართველოთა, დამოუკიდებელ განყოფილებათა უფროსებსა და მათ მოადგილეებს), ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მათ მოადგილეებს პრემია მიეცემათ იმისათვის, თუ სამინისტრო შეასრულებს გეგმას ცალ-ცალკე შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

— პროდუქციის მიწოდება დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად;

— შრომის ნაყოფიერების ზრდა;

— მოგება (შემოსავალი).

2. პრემირება გათვალისწინებულია მთლიანად სამინისტროს საქმიანობის შედეგებისათვის. ამასთან განისაზღვრება საპრემიო თანხა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა კოლექტივისათვის.

3. პრემირება ხდება კვარტალობრივად.

საპრემიო თანხა შეიძლება დაიხარჯოს პრემიის გასაცემად იმ პირობით, თუ გეგმა შესრულდება ამ დებულების 1-ლ პუნქტში აღნიშნული ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით.

თუ 100 პროცენტით არ შესრულდება დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების დავალებანი და ვალდებულებანი, საპრემიო

ბიბლიოთეკა

თანხა შემცირდება 50 პროცენტით. თუ გეგმა არ შესრულდება ერთ-ერთის სხვა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, საპრემიო თანხა შემცირდება 25 პროცენტით თითოეული მაჩვენებლისათვის.

4. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთათვის ამ დებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პრემირების ძირითად მაჩვენებლებთან ერთად მათთვის დაკისრებული ამოცანებისა და მათი მუშაობის თავისებურებათა შესაბამისად განისაზღვრება პრემირების დამატებითი მაჩვენებლები.

შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის პრემირების დამატებით მაჩვენებელთა ნუსხა თან ერთვის.

თითოეული დამატებითი მაჩვენებლის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისათვის, გარდა მე-13 პუნქტში გათვალისწინებულისა, პრემიის თანხა მცირდება 5 პროცენტით.

5. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მუშაკთა პრემირების წყაროა სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი. ამასთან მუშაკთა პრემირების სპეციალური ფონდი ამ დებულების შესაბამისად არ იქმნება.

პრემირებისათვის არ შეიძლება დაიხარჯოს ის სახსრები, რომელთა გამოყენება ნებადართული იყო ამ მიზნით წინა კვარტალებში ან წინა წელს, მაგრამ არ დახარჯულა პრემირების დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის გამო. წლიური გეგმის შესრულებით დაინტერესების სტიმულირების მიზნით დაუხარჯავი სახსრები მოხმარდება პრემიების გაცემას იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება დავალებანი პრემირების შესაბამისი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, გარდა დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების შესასრულებლად სტიმულირებისათვის გათვალისწინებული სახსრებისა.

6. საპრემიო თანხის ფარგლებში საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით გამოუყოფს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა კოლექტივს სახსრებს კონკრეტულ მუშაკთა პრემირებისათვის. ამასთან მხედველობაში მიიღება თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის რეალური წვლილი სამინისტროს მუშაობის საერთო შედეგებში, მათ მიერ დავალებათა შესრულება პრემირების დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით, აგრეთვე საჭიროების კვალობაზე — მუშაობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით და ქვედანაყოფის კოლექტივის აზრის გათვალისწინებით წარადგენს პრემირებისათვის წარჩინებულ მუშაკებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის საერთო შედეგებში მათი რეალური შრომითი წვლილისა და ფაქტიურად ნამუშევარი დროის შესაბამისად. მუშაკები, რომელთაც დაუშვეს დავალებათა შესრულების ვადების ჩაშლა, დოკუმენტების უხარისხო მომზადება, სხვა საწარმოო ხარვეზები მუშაობაში და დისციპლინის დარღვე-

ეროვნული

ვები, შესაბამის კვარტალში პრემირებისათვის, როგორც წესი, წარმოდგენილი არ იქნებიან.

სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს პრემირებისათვის წარადგენს საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრის მოადგილე.

7. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკები შეიძლება პრემირებულ იქნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. ამასთან სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემია მიეცემათ მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის ხარჯზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის მუშაკთა პრემირების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

8. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაკებს შეიძლება დამატებით, საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემირების მიუხედავად, მიეცეთ პრემია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიურ პროცესთა დამუშავების, ათვისებისა და დანერგვის გეგმის შესრულებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა ჩათვლით, გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლის გამოშვებისათვის, საექსპორტოდ ხარისხოვანი პროდუქციის დროული მიწოდებისათვის. პრემია გაიცემა კვარტალის, ნახევარი წლის ან წლის მუშაობის შედეგების მიხედვით სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ.

ზემოაღნიშნული პრემირებისათვის სახსრები განისაზღვრება:

ა) ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიურ პროცესთა დამუშავების, ათვისების, დანერგვისა და გამოყენების გაფართოების გეგმის შესრულებისათვის — მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე და იმ სახსრების თანხიდან, რომლებიც დაირიცხა საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდში მხოლოდ ფაქტიური ეკონომიკური ეფექტის მიღწევისათვის ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად პროდუქციის (შესრულებულ სამუშაოთა) თვითღირებულების ფაქტიური შემცირების ხარჯზე და სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციისა და გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატებიდან (სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან გადარიცხული სახსრების გარდა);

ბ) საექსპორტოდ ხარისხოვანი პროდუქციის დროული მიწოდების გეგმის შესრულებისათვის — საანგარიშო პერიოდში საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდებისათვის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მიერ მიღებული თანხებიდან პრემირებისათვის ანარიცხების დამტკიცებული გრძელვადიანი ნორმატივის მიხედვით.

ზემოაღნიშნული სახსრების წყაროა სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვი.

9. ამ დებულების შესაბამისად სამინისტროს ერთი მუშაკისათვის გაცემული პრემიების საერთო თანხა, სამინისტროთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიცემული პრემიების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს ორი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

ზემოაღნიშნულ თანხაში შედის შესაბამისი კალენდარული წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გაცემული პრემიები.

10. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მუშაკთათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

11. საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრსა და მის მოადგილეებს პრემიები მიეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით, ხოლო სამინისტროს ცენტრალური აპარატის დანარჩენ მუშაკებს — მინისტრის მიერ.

დანარჩენ მუშაკებს პრემიები კოლექტივისათვის გამოყოფილი საპრემიო თანხის ფარგლებში მიეცემათ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ქვედანაყოფის პროფკავშირულ ჯგუფთან შეთანხმებით და ქვედანაყოფის კოლექტივის აზრის გათვალისწინებით. საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრს უფლება აქვს შეუმციროს პრემიის ოდენობა ან მთლიანად ჩამოართვას იგი ცალკეულ მუშაკებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით სერიოზულ საწარმოო ხარვეზებსა და დისციპლინის დარღვევებში.

12. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიები შეიტანება მუშაკთა საშუალო გამომუშავებაში ყველა შემთხვევაში მისი გამოანგარიშებისას (შვებულების, პენსიის დანიშვნის, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მიცემის დროს და სხვ.).

13. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიურ პროცესთა შექმნის, ათვისებისა და დანერგვის გეგმების და საექსპორტოდ ხარისხოვანი პროდუქციის დროული მიწოდების გეგმის შეუსრულებლობისას პრემიები სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის, რომლებიც დაერიცხათ ზემოაღნიშნული გეგმების შესრულებისათვის პასუხისმგებელ მუშაკებს, შემცირდება 25 პროცენტით.

14. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები საბჭოთა გამოგონებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საზღვარგარეთ დასაპატენტებლად და იქ მათი გაყიდვისათვის ლიცენზიების მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით მუშაკებს პრემიები, აგრეთვე ჯილდოები წლის შედეგების მიხედვით მუშაობის საერთო მაჩვენებლებისათვის არ მიეცემათ.

15. ეს დებულება შემოღებულია სამოქმედოდ 1989 წლის 1 იანვრიდან.

## 61 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესახებ.

2. ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 სექტემბრის № 504 და 1967 წლის 24 ნოემბრის № 707 დადგენილებები, რომლებითაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 იანვრის № 20 დადგენილება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების შეცვლის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩიტანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 7 ივლისი, № 339

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 7 ივლისის №339 დადგე-
ნილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო არის სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებისადმი და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, მისი შენახვა ხდება უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის ანარიცხების ხარჯზე, არის იურიდიული პირი, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, რომლებიც საჭიროა მისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

4. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ამ დებულებით მისთვის დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებებისა და სამმართველოების მეშვეობით, მათ შორის ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და შედიან სამინისტროს

შემადგენლობაში; მართავს რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შეადგენენ სამინისტროს ერთიან სისტემას.

5. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში; განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას სამინისტროს კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებში, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარმოუდგენს დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

## II. ძირითადი ამოცანები

6. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაჩქარებული და კომპლექსური განვითარების და მუშაობის სრულყოფის, მათი დონის შემდგომი ამაღლების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება და დაცვა;

— შეიმუშაოს და განახორციელოს მიმდინარე და გრძელვადიანი პოლიტიკა დარგის განვითარებისათვის, დააპროგნოზოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარების და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდების მოთხოვნილებანი;

— განუხრელად განახორციელოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგია დარგის სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე;

— ყოველმხრივ გამოიყენოს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპები მათი საქმიანობის ორგანიზაციის კოოპერაციულ და არენდულ ფორმებზე ეტაპობრივი გადასვლის გათვალისწინებით და შემდგომ ასოციაციების ან კავშირების შექმნით;

— განსაზღვროს საგეგმო პოლიტიკა დარგში, განახორციელოს სახელმწიფოებრივი — განსაზღვროს საგეგმო პოლიტიკა დარგში, განახორციელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან, უზრუნველყოს ტექნიკური პოლიტიკის ერთიანობა დარგში.

61
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## III. ფუნქციები

7. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

**ა) დაგეგმვისა და ეკონომიკის დარგში:**

— თავის საქმიანობას საფუძვლად უდებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას და მართვის ეკონომიკურ მეთოდებს. თანამიმდევრულად ახორციელებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით განსაზღვრულ პრინციპებს, ხელს უწყობს თვითმმართველობის განვითარებას დარგის შრომით კოლექტივებში;

— ახორციელებს სისტემის საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის მართვას, ამასთან იყენებს პერსპექტიული და გრძელვადიანი გეგმების ფორმირების საფუძვლად დაგეგმვის საწყის მონაცემებს (საკონტროლო ციფრები, სახელმწიფო შეკვეთები, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები), უზრუნველყოფს საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) დასაწესებელი დაგეგმვის საწყისი მონაცემების მკაცრ დაკავშირებას;

— რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტებს, საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგრძლივ სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებსა და მომავალი ხუთწლეულის ლიმიტებს;

— შეიმუშავებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილი გეგმების შესაბამისად საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების კრებსით პროექტებს და წარადგენს მათ დასამტკიცებლად დადგენილი წესით; მონაწილეობს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების გეგმების პროექტების განხილვაში;

— შეიმუშავებს საწარმოებისათვის (გაერთიანებებისათვის) საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგრძლივ სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს, რომლებიც ასტიმულებენ საწარმოთა მიერ ყოველგვარი რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას საბინაო-კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით;

— სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეისწავლის და განსაზღვრავს მომსახურებაზე მოთხოვნილებას და მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რესპუბლიკაში საქვეუწყებო საწარმოთა განვითარებისა და ტერიტორიული განლაგების გრძელვადიან პროგნოზებს;

— უზრუნველყოფს დაგეგმვისას სახელმწიფო ინტერესების რაციონალურ შეხამებას დარგის, რეგიონებისა და საწარმოთა ინტერესებთან;

— განავითარებს პროგრესულ საწარმოო სტრუქტურას, აღრმავებს დარგის კონცენტრაციასა და სპეციალიზაციას, შინადრგობრივ და დარგთაშორის კოოპერირებას, ხელს უწყობს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, დაგეგმვის, წარმოების მართვისა და ეკონომიკური სტიმულირების მოწინავე მეთოდების დანერგვას;

**ბ) მეცნიერულ-ტექნიკური დაჩქარების დარგში:**

— ნერგავს დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას, ფართოდ იყენებს წარმოებაში აღმოჩენებსა და გამოგონებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგის დაჩქარებულ გასვლას მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე და ხელს უწყობენ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, მომსახურებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას;

—ახორციელებს სისტემატურ მუშაობას წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონის შეფასებისათვის, უზრუნველყოფს დარგში მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა შემუშავებას მეცნიერული ძიებიდან წარმოებაში მიღებული შედეგების დანერგვამდე, აგრეთვე ასრულებს კომპლექსურ დარგთაშორის მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესთა გადაჭრასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას საინფორმაციო მომსახურების, აგრეთვე გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით, მოწინავე გამოცდილების შესასწავლად და გასავრცელებლად, საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას;

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს საზღვარგარეთ ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე პროგრესული მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების ლიცენზიების შესყიდვის შესახებ და უზრუნველყოფს მათ უსწრაფესად ათვისებას;

**გ) კაპიტალური მშენებლობის დარგში:**

— ახორციელებს ეფექტიან პოლიტიკას კაპიტალურ მშენებლობაში დარგის განვითარების ამოცანების შესაბამისად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოთა საწარმოო-სოციალური განვითარების ფონდების ხარჯზე გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ოპტიმალურ შეხამებას;

— გეგმავს და ორგანიზაციას უწევს საბინაო ფონდის საწარმოთა და კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის განხორციელებას ნორმატიულ ვადებში, უზრუნველყოფს მათ დროულ საექსპლუატაციოდ გადაცემას, ახალ სიმძლავრეთა ათვისებას;

— განავითარებს, განამტკიცებს და განაახლებს დარგობრივ სამშენებლო ბაზას საწარმოთა, ნაგებობათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, საცხოვრებელი სახლების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა საიჯარო და სამეურნეო წესებით განსახორციელებლად;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტროსათვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში უშუალოდ სამინისტროსათვის დაქვემდებარებული ობიექტების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ამტკიცებს ან წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებლობათა და სხვა ობიექტების სატიტულო სიებს, ორგანიზაციას უწევს საჭირო შემთხვევებში საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას სამეურნეო წესით, მონაწილეობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მშენებლობადამთავრებულ საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მიმღებ სახელმწიფო კომისიებში, ამტკიცებს მათი მიღების აქტებს;

— განიხილავს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დასკვნებს კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის სატიტულო სიების პროექტების გამო, გასცემს დასკვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ქალაქებისა და კურორტების გენერალური გეგმების პროექტების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტექნიკური პროექტების გამო, დადგენილი წესით განიხილავს საცხოვრებელი სახლების და კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ტიპობრივ პროექტებს და გასცემს დასკვნებს მათ გამო;

— ატარებს 1,0 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბინაო, სამოქალაქო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას;

— წყვეტს მშენებლობათა დაფინანსების და იმ მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით მათი მომარაგების საკითხებს, რომელთა მიწოდება შემკვეთის ფუნქციას არ განეკუთვნება;

— ახორციელებს კონტროლს მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მოწყობილობის ხარისხისადმი, ორგანიზაციას უწევს მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებას;

დ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომარაგების დარგში:

— სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ქმნის მატერიალური რესურსებით დარგის საწარმოთა მყარი უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს;

— განავითარებს წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობას, საცალო ვაჭრობასა და სერვისულ მომსახურებას, ხელს უწყობს დამამზადებლებთან მომხმარებელთა პირდაპირი ურთიერთობის განვითარებას;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიის, რესურსების ყაირათიანად და რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების, მათი დანაკარგების შემცირების, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების ფართოდ ჩართვით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების ამაღლების უზრუნველსაყოფად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად უზრუნველყოფს სახელმწიფო შეკვეთებს მყარი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით. ანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ გამოყოფილ მოწყობილობას, მექანიზმებს, აპარატურას, სატრანსპორტო საშუალებებსა და მასალებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის მათი განაცხადების მიხედვით და რეალური მოთხოვნილების გათვალისწინებით;

— შეიმუშავებს და წარადგენს დანიშნულებისამებრ კრებსით განაცხადებს ყოველგვარ მატერიალურ-ტექნიკურ და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე, მოწყობილობაზე, მექანიზმებზე, ხელსაწყოებსა და აპარატურაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც საჭიროა სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საიმედო საქმიანობისა და ტექნიკური აღჭურვის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში გამოსაყენებელი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მათი სამარაგო ნაწილების საწარმოებლად;

— ორგანიზაციას უწევს სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის გასაღებას;

**ე) ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში:**

— ამაღლებს დარგში საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დონეს, განამტკიცებს ფინანსურ მდგომარეობას, ახორციელებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) ზარალიანობის მთლიანად აღმოფხვრის და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით მათი მუშაობისათვის საჭირო რენტაბელობის დონის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

— ეფექტიანად იყენებს სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებს და ახდენს მათს კონცენტრაციას მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

—ახორციელებს ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკას; უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად დაწესებული სახელშეკრულებო და სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფასებისა და ტარიფების ეკონომიკური დასაბუთების ამაღლებას, ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით სისტემის საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ფასებსა და ტარიფებს;

— აანალიზებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შედეგებს, კონტროლს უწევს მათ მიერ სახელმწიფო საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვას;

— უზრუნველყოფს კონტროლს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ხელფასის სახსრების (შრომის ანაზღაურების ფონდი) ხარჯვისადმი;

— სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან ერთად განსაზღვრავს მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვითაც წესდება წარმოების მოცულობა ხელფასის (შრომის ანაზღაურების ფონდი) გაცემისას საწარმოთა (ორგანიზაციათა) საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით;

— გასცემს ნებართვას საწარმოთა (ორგანიზაციათა) მიერ დაშვებული ხელფასის (შრომის ანაზღაურების ფონდი) გადახარჯვის დასაფარავად;

— საქვეუწყებო საწარმოთა (ორგანიზაციათა) შორის შრომის გეგმის განაწილებისას იტოვებს თავის განკარგულებაში ხელფასის (შრომის ანაზღაურების ფონდი) რეზერვს 2 პროცენტამდე ოდენობით;

— ახორციელებს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაუყვანელ საქვეუწყებო საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში მუშაკთა მატერიალურ წახალისებას დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, შრომის ანაზღაურების თაობაზე მოქმედი დებულებებითა და საპრემიო სისტემით გათვალისწინებულის გარდა, აგრეთვე უწევს ამ სახსრებიდან ერთდროულ დახმარებას, ხარჯავს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის სამინისტროს ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტს;

— ახორციელებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებას და უწევს მათ მატერიალურ დახმარებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროსათვის დამტკიცებული შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

— ქმნის საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვს წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 3 პროცენტამდე ოდენობით, შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით გათვალისწინებული ნორმატივების ზრდის თანხის მიუხედავად;

— გადაჰყავს დადგენილი წესით საწარმოები და ორგანიზაციები ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში სამუშაოთა მოცულობის ცვლილებასთან დაკავშირებით ხელფასის დაწესებული ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდი) ფარგლებში;

— ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცებული ფორმების მიხედვით, აანალიზებს მას, ახორციელებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

— განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საქვეუწყებო საწარმოთა (ორგანიზაციათა) ანგარიშებსა და ბალანსებს;

— ადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

**ვ) საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დარგში:**

— შეიმუშავებს წინადადებებს პერსპექტიულ პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა შესახებ;

— სწავლობს და განაზოგადებს საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას რესურსდაზოგვის დარგში;

— ახორციელებს ღონისძიებებს დარგის განვითარების დაჩქარების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის;

— განავითარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ახალ პროგრესულ ფორმებს, აქტიურად უწყობს ხელს დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დამყარებას სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნასა და საქმიანობის უზრუნველყოფას;

**ზ) კადრებისა და სოციალური განვითარების დარგში:**

— ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად ახორციელებს მიზანდასახულ საკადრო პოლიტიკას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს დასაწინაურებელი კადრების რეზერვის ფორმირებას, უწევს მეთოდიკურ დახმარებას კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადება-გადამზადების ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციაში;

— რესპუბლიკის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების, სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის საჭირო პირობების შექმნის, სისტემის მუშაკთა სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით;

— ხელს უწყობს სისტემისათვის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნილების განსაზღვრას;

— განაზოგადებს და ავრცელებს კადრების უწყვეტი სწავლების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას, ასრულებს სამუშაოებს სწავლების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, მისი ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლების მიზნით;

— ატარებს ცენტრალური აპარატის მუშაკთა და სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციას, უწევს მეთოდიკურ დახმარებას ადგილებზე სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშაკთა ატესტაციის ჩატარებაში;

— ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასთან და მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა შინადარგობრივ და დარგთაშორის გადანაწილებას.

ყოველმხრივ ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, მისი ფორმებისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფას, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებასა და გამოყენებას.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს, ამტკიცებს ან წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით:

—ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფის ნორმებს;

—საბინაო ფონდის, კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ნაგებობათა მოვლა-შენახვის, რემონტისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფის წესებს, ტექნიკურ პირობებს, ნორმატივებსა და ინსტრუქციებს, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა.

დროულად განიხილავს მშრომელთა წერილებს (განცხადებებს, საჩივრებს) და იღებს ზომებს მათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო:

ა) კონტროლს უწევს:

— ღონისძიებების, პროგრამებისა და რეკომენდაციების შესრულებას, რომელთა მიზანია საბინაო ფონდის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ტექნიკურად სწორი და რენტაბელური ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის, დაცვის, განახლების, რეკონსტრუქციის, კეთილმოწყობისა და მოდერნიზაციის უზრუნველყოფა მოქმედი წესების, ტექნიკური პირობების, ნორმატივებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, მიუხედავად ამ ობიექტების უწყებრივი კუთვნილებისა;

— კომუნალური და თბოენერგეტიკული მეურნეობის ობიექტების ტექნიკურ მდგომარეობასა და ზამთრის პირობებში სამუშაოდ მომზადებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა (თავდაცვითი მრეწველობის დარგების, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების გარდა);

— ქალაქების, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი ნორმების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციათა და დაწესებულებათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაცვას;

— შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, საწარმოო სანიტარიის მოთხოვნებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში (ორგანიზაციებში);

— სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას, მათ მიერ კანონმდებლობის შესრულებას, სოციალისტური საკუთრების დაცვას;

ბ) ატარებს საწარმოთა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს, უზრუნველყოფს მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას და აძლევს საწარმოებს მითითებებს კანონმდებლობით დაწესებული თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დავალებით მეთოდიკურ ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისათვის, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში, ბინების გაცვლის, დაჯავშნის ორგანიზაციისა და სხვა საკითხებში, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსიდან.

## IV. ხელმძღვანელობა

9. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

10. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი:

— პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის და, ახორციელებს რა თავის ფუნქციებს, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეთა და სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის;

— შეიტანს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საკანონმდებლო აქტების, მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე;

— საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებს და ინსტრუქციებს;

— შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა ბრძანებებისა და მათი ინსტრუქციების მოქმედებას, გააუქმებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქვეუწყებო, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ ბრძანებულებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, სხვა ნორმატიულ აქტებს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებებსა და მის ინსტრუქციებს.

წინადადებანი ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა ბრძანებებისა და მათი ინსტრუქციების გაუქმების შესახებ მინისტრს შეაქვს განსახილველად შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში;

— შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს (ორგანიზაციებს);

— შეიტანს ცალკეულ ცვლილებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგან სტრუქტურაში და დაამტკიცებს აპარატის საშტატო განრიგს ხელმძღვანელ მუშაკთა, მთავარ სპეციალისტთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობისა და მოქმედი ნორმების გაუთვალისწინებლად, ხოლო თანამდებობრივ სარგოებს — თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო თანამდებობრივი სარგოების გაუთვალისწინებლად დაწესებული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და პრემირების დებულებების თანახმად;

— დაამტკიცებს სამინისტროს აპარატის ქვედანაყოფთა დებულებებს, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სამმართველოთა და სხვა ორგანიზაციათა დებულებებსა და წესდებებს დადგენილი წესით;

— დანიშნავს და გაათავისუფლებს თანამდებობიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად;

— საჭიროებისამებრ შექმნის სამინისტროში სათანადო საბჭოებს, დაამტკიცებს შესაბამის დებულებებს ამ საბჭოების შესახებ და მათს შემადგენლობებს.

12. დემოკრატიზაციის გაღრმავების და დარგის მართვაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მიზიდვის, ერთმმართველობისა და კოლეგიურობის პრინციპების უფრო ეფექტიანი შეხამების მიზნით საქართველოს სსრ

საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან იქმნება სათათბირო ორგანოს სახით დარგის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან წამყვან საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, შრომითი კოლექტივების საბჭოების, პროფკავშირების წარმომადგენლები და სპეციალისტები. დარგის საბჭო წელიწადში ორჯერ მაინც ატარებს სხდომებს, რომლებზეც განიხილავს დარგის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხებს, შეფასებას აძლევს მისი მუშაობის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარგში წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების შესახებ.

13. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და მის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით.

კოლეგიის თავმჯდომარესა და მის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში კოლეგიის თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებანი და მისი ინსტრუქციები სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მოვლა-შენახვის, გამოყენებისა და ექსპლუატაციის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.

15. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ქმნის საუწყებო არბიტრაჟს თავისი სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად.

16. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულებას, აგრეთვე

მუხ/ 61

მისი ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობასა და შრომის ანაზღაურების ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საქმიანობას შეწყვეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 62 საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ხელფასის სახსრების სრული ანაზღაურების ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ამჟამად ხელფასის საგეგმო და სახარჯთაღრიცხვო ფონდს შორის სხვაობა გათვალისწინებული არაა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში, აგრეთვე მხედველობაში მიიღო რა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა რენტაბელობის დაბალი დონე, რაც აძნელებს მათს საქმიანობას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, სსრ კავშირის სახმშენმა ნება დართო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელოს 1989-1990 წლებში ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის სახსრების სრულ ანაზღაურებას შესაბამისი ობიექტების მშენებლობის ღირებულების კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებათა მიხედვით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ობიექტების მშენებლობით დასაქმებული რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ხელფასის დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ექსპერიმენტის ეფექტიანი განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებული თანდართული მეთოდიკური მითითებანი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხელფასის დამატებითი ხარჯების განსაზღვრისა და საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მათი ანაზღაურების წესის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ხელფასის დამატებითი ხარჯები განისაზღვრება და სამშენებლო ორგანიზაციებს აუნაზღაურდებათ 1989 და 1990 წლების ობიექტების მიხედვით სამუშაოთა მთელი მოცულობისათვის ამ დადგენილებით დამტკიცებული მეთოდიკური მითითებების მე-8 პუნქტის შესაბამისად, ხოლო თუ სახარჯთაღრიცხვო ლიმიტი მთლიანად ამოწურულია, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის დაწესებული კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ლიმიტების ხარჯზე, ამ მეთოდიკური მითითებების მე-9 პუნქტით განსაზღვრული წესით.

3. საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებიც გადასული არიან სამეურნეო ანგარიშის მეორე მოდელზე, განსაზღვრონ ხელფასის დამატებითი ხარჯები როგორც სხვაობა საანგარიშო ნორმატივით გაანგარიშებულ სიდიდესა და ამ დადგენილებით დამტკიცებული მეთოდიკური მითითებების მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახარჯთაღრიცხვო ხელფასს შორის.

№ 4 

4. კონტროლი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხელფასის [illegible]თი ხარჯების განსაზღვრისა და საქართველოს სსრ სამშენებლო ორ[illegible]ბისათვის მათი ანაზღაურების წესის შესახებ მეთოდიკურ მითითებათა სწორად გამოყენებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 10 ივლისი, № 344

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 10 ივლისის № 344 დადგენილებით

# მეთოდიკური მითითებანი

## სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხელფასის დამატებითი ხარჯების განსაზღვრისა და საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მათი ანაზღაურების წესის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. ეს მეთოდიკური მითითებანი შემუშავებულია სსრ კავშირის სახმშენის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მხედველობაში მიიღო რა, რომ ამჟამად ხელფასის საგეგმო და სახარჯთაღრიცხვო ფონდს შორის სხვაობა გათვალისწინებული არაა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში, აგრეთვე ის, რომ დაბალია რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა რენტაბელობის დონე (5,2 პროცენტი 1988 წელს), რაც აძნელებს მათს საქმიანობას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, სსრ კავშირის სახმშენმა ნება დართო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელოს 1989-1990 წლებში ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის სახსრების სრულ ანაზღაურებას შესაბამისი ობიექტების მშენებლობის ღირებულების კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებათა მიხედვით.

2. ექსპერიმენტი ტარდება მშენებლობებზე, რომელთა დაფინანსება ხორციელდება რესპუბლიკური წყაროების სახსრების ხარჯზე.

მშენებლობებზე, რომელთა შემკვეთები არიან საკავშირო სამინისტროები და უწყებები, ექსპერიმენტი შეიძლება გავრცელდეს მათი თანხმობით.

3. ექსპერიმენტი მოეწყობა 1989 წელს დაწყებულ, აგრეთვე 1989 წელს გადმოსულ მშენებლობებზე.

4. სახარჯთაღრიცხვო ხელფასი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოიყოფა საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დასაქმებულ მუშათა ნორმატიული შრომატევადობისა და ხელფასის გამოყოფის წესის შესახებ სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 30 დეკემბრის № 273 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდიკური მითითებების შესაბამისად. ამასთან შემკვეთისა და მოიჯარის გადაწყვეტილებით დასაშვებია აგრეთვე სახარჯთაღრიცხვო ხელფასის განსაზღვრა ობიექტ-წარმომადგენელთა სახარჯთაღრიცხვო ხელფასის დონის გამოყენების საფუძველზე.

## II. დამატებითი ხელფასის ოდენობის განსაზღვრა, მისი შეტანა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და შესრულებულ სამუშაოთა გაანგარიშებაში

5. დამატებითი ხელფასის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა დაგეგმილი ნორმატივის მიხედვით გაანგარიშებულ სიდიდესა და ამ მეთოდიკური მითითებების მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახარჯთაღრიცხვო ხელფასს შორის.

6. მშენებლობებს, რომლებისთვისაც სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამტკიცებული არაა, ხელფასის დამატებით თანხას განუსაზღვრავენ შემკვეთი და მოიჯარე, და იგი გათვალისწინებულ იქნება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მთლიანად მშენებლობის სხვადასხვა ხარჯების შემადგენლობაში თითოეული ობიექტის მიხედვით განაწილებით.

7. როცა შემკვეთს სამუშაო დოკუმენტაციაში შეაქვს ცვლილებანი, რაც იწვევს სამუშაოთა მოცულობის დაზუსტებას, დამატებითი ხელფასი უნდა დაზუსტდეს მოიჯარესთან შეთანხმებით.

8. დამატებითი ხელფასი გაიცემა შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის პროპორციულად, საერთო სახარჯთაღრიცხვო ლიმიტის ფარგლებში.

9. თუ მშენებლობებზე, რომლებისთვისაც დამტკიცებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სახარჯთაღრიცხვო ლიმიტი მთლიანად ამოიწურა, ხელფასის დამატებითი თანხა შეტანილი უნდა იქნეს კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაში 1.02.01-85 სამშენებლო ნორმებისა და წესების 4.16 პუნქტის შესაბამისად.

---

## 63 საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ:

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩამოაყალიბოს ძეგლთა კონსერვაციის, რესტავრაციისა და ადაპტაციის მეცნიერული უზრუნველყოფის სისტემა;

— 1991 წლამდე დაამთავროს რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პასპორტიზაცია. 1995 წლისათვის მოამზადოს ამ ნუსხის გამოცემა კრებულად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე;

— აღნიშნული სამუშაოების დროულად შესრულების მიზნით ნება დაერთოს მას მოწვეული სპეციალისტებისაგან 1989—1993 წლებში დროებით შექმნას სამუშაო კოლექტივები;

— სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამართალდამცველი და ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით სრულად გამოიყენოს „საქართველოს სსრ კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საჯარო მსჯელობის საგნად აქციოს მატერიალური კულტურის ძეგლთა ხელყოფის ყოველი შემთხვევა;

— 1989 წელს ჩაატაროს მისი სისტემის მუზეუმ-ნაკრძალების დათვალიერება-ატესტაცია ამ დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებლად, შრომის ორგანიზაციის ახალი ეკონომიკური მეთოდების დასანერგავად და ტურისტულ-შემეცნებითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან, სხვა უწყებებთან ერთად 1989 წლიდანვე შეიმუშაოს ღონისძიებები მის სისტემაში რესტავრაცია-კონსერვაციისა და მშენებლობის სამუშაოთა მოცულობის გასაზრდელად და შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად.

— 1990 წლის განმავლობაში შეიმუშაოს რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ისტორიული უბნებისა და ნაგებობების ადაპტაციის გეგმა 2000 წლამდე პერიოდისათვის;

— 1989 წელს შეამოწმოს უკანასკნელ წლებში ძეგლების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, ამ მიზნით მოაწყოს ძეგლების შემოწმება-ატესტაცია, შემოიღოს სამუშაოთა სახელმწიფო მიღების წესი;

— მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეიქმნას სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო გაერთიანების საპროექტო ბიუროს ბაზაზე სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების წესით მომუშავე ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საპროექტო ინსტიტუტი, რისთვისაც მთავარმა სამმართველომ დაამუშაოს წინადადება საკავშირო ორგანოებში წარსადგენად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა განიხილონ და გაითვალისწინონ 1990—1995 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისათვის ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების გამოყოფა, თანახმად დასაბუთებული განაცხადებისა.

3. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტებთან და არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან, აგრეთვე სხვა სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან ერთად 1989 წლის ბოლომდე შეიმუშაოს 1990—1995 წლებში ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის ძეგლების ფოტოალბომების, გამოკვლევების, ტურისტულ-საექსკურსიო და სუვენირული გამოცემების კონკრეტული გეგმა და უზრუნველყოს მისი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა.

4. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის კანონმდებლობის უზრუნველყოფის მიზნით საკულტო ნაგებობების რელიგიური საზოგადოებისათვის გადაცემა მოხდეს მხოლოდ დადგენილი წესით — სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებსა, ძეგლთა დაცვისა და გამოყენების უწყებასა და რელიგიურ საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე — ძეგლის დაცვის არსებული წესების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფის კონტროლში მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში.

5. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გაითვალისწინოს 1989 წელს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის შენობაში (შავთელის ქ. № 5/7) სამი ტელეფონის დადგმა.

6. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება მის სისტემაში ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციის სამმართველოდ გარდაქმნისა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების კოორდინირებულად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის

ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მეცნიერული და მეთოდური ხელმძღვანელობით განხორციელების შესახებ. მეცნიერული შესწავლის საფუძველზე და დაინტერესებულ უწყებათა რეკომენდაციების გათვალისწინებით განავითარონ თბილისის ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებისა და უბნების რესტავრაციისა და ადაპტაციის პრაქტიკა, წესად აქციონ პროექტების ყოველწლიური საზოგადოებრივი განხილვა.

7. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებში ახალგაზრდების მონაწილეობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, დადგენილი წესით 1989 წლიდან შეიქმნას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანება. გაერთიანებამ საქმიანობა წარმართოს თვითდაფინანსების პრინციპებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ზედამხედველობით ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ გაერთიანების მიერ შესრულებული სამუშაოთა ანაზღაურება ხელშეკრულებებით.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, აგრეთვე ხაშურის, დუშეთის, მცხეთის, ცხინვალის, ქობულეთის, მახარაძის, ამბროლაურის, თელავის, ხელვაჩაურის, კასპის, ასპინძისა და სხვა რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უახლოეს დროში აღმასკომებსა და სესიებზე განიხილონ საკითხები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეში თავიანთი მონაწილეობის შესახებ, ადგილობრივი პრესის საშუალებით სისტემატურად გააშუქონ არსებული კანონმდებლობის დაცვის, საშეფო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების საკითხები, მოაწყონ ძეგლების რესტავრაციისა და ადაპტაციის პროექტების საჯარო განხილვა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის ადგილებზე ჩასული ახალგაზრდული რაზმების საველე მუშაობას.

9. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქინფორმმა, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა უფრო ფართოდ და სისტემატურად გააშუქონ, ქმედითი და კრიტიკული გახადონ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების საქმიანობა.

10. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის აგვისტომდე შეიმუშაოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსათვის დროებით, მისი ამორტიზებული ადმინისტრაციული შენობის შეკეთებამდე, სათავსის გამოყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ:

— შექმნას თვითდაფინანსების საფუძველზე მომუშავე ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პროპაგანდის ბიურო;

— შეიმუშაოს და დაამზადოს ახალი ნიმუშის მიხედვით ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ემბლემიანი დამცავი დაფები და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათი ძეგლებთან დადგმა;

— შეიმუშაოს ღონისძიებები ხალხური მხატვრული რეწვის ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საზოგადოების პრეზიდიუმთან ხალხური მხატვრული რეწვის საქმეთა საკოორდინაციო ცენტრის შექმნა.

12. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილებას.

13. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩიტანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

*ქ. თბილისი, 1989 წ. 13 ივლისი, № 348*

## 64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 350 და 1983 წლის 6 სექტემბრის № 611 დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 350 და 1983 წლის 6 სექტემბრის № 611 დადგენილებებით შემოღებული წესი სახერხი დანადგარების რაოდენობის თაობაზე მოძველდა და არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება და დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების (რაიონების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს სახერხი დანადგარების განლაგების საკითხი ადგილებზე გადაწყვიტონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ განხილული და მოწონებული დისლოკაციის ოპ-

ტიმალური ვარიანტის მიხედვით, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა დააწესოს მკაცრი კონტროლი საქართველოს სსრ ტყეებში მთავარი სარგებლობის, მოვლითი და სანიტარიული ჭრების წესების დაცვისადმი.

3 ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 350 და 1983 წლის 6 სექტემბრის № 611 დადგენილებანი.

4. აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დააწესოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის აგროსამრეწველო განყოფილებამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 13 ივლისი, № 349

## 65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378 და 1988 წლის 30 დეკემბრის № 671 დადგენილებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378 დადგენილების „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის დარგის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ მეორე და მეოთხე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „2. დაწესდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 69 ერთეულის რაოდენობით 266,8 ათასი მანეთი შრომის ანაზღაურების წლიური ფონდით (შენობის დაცვისა და მომსახურების პერსონალის გარდა) და დამტკიცდეს მისი სტრუქტურა“.

—„4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს იყოლიოს მინისტრის ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, ერთი მოადგილე, ორი მოადგილე — ამავე დროს სამმართველოთა უფროსები, და კოლეგია 8 კაცის შემადგენლობით“.

2. შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 დეკემბრის № 671 დადგენილების „საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის დამატებით შემცირების შესახებ“ დანართში და აღნიშნული ნუსხიდან ამოღებულ იქნეს მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 19 ივლისი, № 355

## 66 რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა პერსონალური სარგოების საკითხზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 10 ივლისის № 529 განკარგულებით რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური სარგოების დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 აგვისტოს № 504 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 აგვისტოს № 505 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 აგვისტოს № 506 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 ივლისის № 479 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 აპრილის № 326 დადგენილების დამატების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 დეკემბრის № 710 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ოქტომბრის № 1476, 1985 წლის 31 ოქტომბრის № 1520, 1986 წლის 13 ოქტომბრის № 1184, 1987 წლის 25 თებერვლის № 143, 1987 წლის 7 ივლისის № 680, 1988 წლის 26 იანვრის №8გს, 1988 წლის 5 დეკემბრის № 1074 განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩიტანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 19 ივლისი, № 356

## 67 „საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილების მოქმედების ქ. რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებზე გავრცელების თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში გათვალისწინებული არიან ცალკე სტრიქონად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გავრცელდეს „საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილების მე-2 და მე-4 პუნქტების მოქმედება ქ. რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებზე და უფლება მიეცეთ მათ ჩაატარონ ექსპერტიზა და დაამტკიცონ პროექტები მშენებლობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 4 მილიონამდე მანეთს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 28 ივლისი, № 370

## 68 სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1988 წლის 30 დეკემბრის № 455/102/197 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 8 დეკემბრის № 572 დადგენილებით დამტკიცებულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესში ცვლილებანი, დანართის თანახმად.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ქვილითაია**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, **1989 წ. 28 ივლისი, № 373**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 ივლისის № 373 დადგენილების დანართი

# ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

## რომლებიც შეიტანება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესში

1. მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა განაწილების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო-სამეურნეო კომპლექსების და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განსაზღვრავს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დასაგეგმ პერიოდში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების მოცულობას მეცნიერებისა და ტექნიკის მიმართულებათა მიხედვით შემდეგი პრიორიტეტების გამოყოფით:

ა) სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამა:

— სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები;

— ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამა;

— დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების სამუშაო გეგმები.

ასიგნებებს ამ მიზნებისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა რეზერვის სახსრებს კომიტეტი გამოუყოფს უშუალოდ მთავარ ორგანიზაციებს, დარგთაშორის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — ცალკეული პროექტების ხელმძღვანელებს ზემოაღნიშნული კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე, რაც ეცნობებათ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს. მთავარ ორგანიზაციებთან, დარგთაშორის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსებთან და ცალკეული პროექტების ხელმძღვანელებთან სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწფო კომიტეტის ურთიერთობის ფორმებს განსაზღვრავს კომიტეტი ამ დებულების მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად.

ბ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგთაშორისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები საზოგადოებრივი წარმოების მარევოლუციურებელი ახალი ტექნიკის შესაქმნელად:

— ფუნდამენტური კვლევა საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა დარგში;

— რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება, როგორც წესი, ხორციელდება მთავარი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით, ხოლო საჭირო შემთხვევებში — უშუალოდ შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტში რეზერვის შექმნის ხარჯზე უზრუნველყოფს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებისა და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დაფინანსებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მუდმივ კონტროლს უწევს ზემოაღნიშნული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების რაციონალურად გამოყენებას და რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად პასუხს აგებს მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფილ ასიგნებათა არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში მიიღება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გადაწყვეტილება ამ სამუშაოთა დაფინანსების შეწყვეტის და ამასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული სახსრების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტიული და აქტუალური მიმართულებებისათვის შემდგომი გადანაწილების ან ზემოაღნიშნული სახსრების საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რეზერვში ჩარიცხვის შესახებ".

2. მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დასაგეგმი წლისათვის დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ნორმატივის გათვალისწინებით განუსაზღვრავს რესპუბლიკის არასაწარმოო სფეროს სამინისტროებსა და უწყებებს ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის ხელფასის საერთო ფონდის შექმნის ნორმატივს საკუთარი ძალებით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობისათვის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის გამოსაყოფი სახსრების გაუთვალისწინებლად) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების, ისევე შემკვეთებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით შემოსული სახსრების ხარჯზე".

3. მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასაწარმოო სფეროს სამინისტროებსა და უწყებებში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი.

სამინისტროები და უწყებები დაუგზავნიან სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ სამეცნიერო ორგანიზაციებს საფინანსო მაჩვენებლებს ბიუჯეტის სახსრების საერთო მოცულობისათვის, რაც განაწილდება სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამის, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამის დავალებების, დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური

კომპლექსების გეგმების, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგთაშორისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების, [illegible]რივი წარმოების მარევოლუციურებელი ახალი ტექნიკის შექმნის დავალებების, ფუნდამენტური გამოკვლევების მიხედვით.

სამეცნიერო ორგანიზაცია ამ მაჩვენებლების საფუძველზე გეგმავს და ითვალისწინებს ყოველი ცალკეული კონკრეტული თემის მიხედვით ხარჯებს დანართის თანახმად განსაზღვრული წესით.

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მოცულობას, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ორგანიზაციები დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და გაერთიანებებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, ისინი განსაზღვრავენ დამოუკიდებლად.

ზემოაღნიშნული სამუშაოები ნაზღაურდება დადგენილი წესით, სახელშეკრულებო ფასებში. სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებისა და მაჩვენებლების საფუძველზე უმტკიცებენ სამეცნიერო ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული სამუშაოების მიხედვით შემდეგ ეკონომიკურ ნორმატივებს:

— მოგების ანარიცხები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში*);

— მოგების ანარიცხები სამინისტროთა, უწყებათა ცენტრალიზებულ ფონდებში, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით;

— მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის შექმნა;

— მატერიალური წახალისების ფონდის შექმნა;

— ხელფასის საერთო ფონდის შექმნა, რომელიც წესდება სამეცნიერო ორგანიზაციის მიერ საკუთარი ძალებით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობისათვის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის გამოსაყოფი სახსრების გაუთვალისწინებლად) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების, ისევე შემკვეთებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით შემოსული სახსრების ხარჯზე.

ამავე დროს სამინისტროები და უწყებები დაუგზავნიან დადგენილი წესით სამეცნიერო ორგანიზაციებს სავალუტო ფონდის შექმნის ნორმატივებს.

სამეცნიერო ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები ფუნდამენტურ გამოკვლევათა და საკვლევაძიებო ხასიათის სხვა საინიციატივო სამუშაოთა დამატებითი დაფინანსებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საქვეუწყებო სამეცნიერო ორგანიზაციები ქმნიან მოგებას გამოკვლევათა და სამუშაოთა განხორციელების ხარჯთაღრიცხვების მიხედვით ბიუჯეტის სახსრების ეკონომიის ხარჯზეც".

---

*) უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევით ნაწილებსა და სექტორებს უწესდებათ აგრეთვე შრომითი რესურსებისათვის გადასახდელი ნორმატივი შტატის ყოველ მუშაკზე 300 მანეთის ოდენობით.

4. მე-4 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 69 საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობად გარდაქმნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურის ორგანიზაციისა და საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 დეკემბრის № 1496 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობად.

2. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 სექტემბრის № 429 დადგენილების № 2 დანართით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი და კურირებული ორგანიზაციების ჩამონათვალში შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება: სიტყვები „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ო. ქვილითაია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ქ. თბილისი, 1989 წ. 28 ივლისი, № 377

## 70 9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პერსონალური პენსიების დამნიშვნელ კომისიას დაუნიშნოს 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ოჯახების წევრებს პერსონალური პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობათა საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ო. ქვილითაია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ქ. თბილისი, 1989 წ. 28 ივლისი, № 378

## 71 საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიასთან შეთანხმების საფუძველზე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობის გათვალისწინებით, იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერების დაწესებულებათა და სასწავლებელთა უფრო ფართოდ ჩაბმის, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, აგრეთვე იუნესკოს ექსპერტებად სამუშაოდ გასაგზავნად სპეციალისტთა დამოუკიდებელი შერჩევის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო.

2. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს:

— კულტურის, მეცნიერების დაწესებულებათა, სასწავლებელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობა იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში;

— იუნესკოს შესაძლებლობათა გამოყენება საქართველოს საზოგადოებრიობის საქმიანობაში, რომლის მიზანია რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი;

— რესპუბლიკის მიერ სპეციალისტთა დამოუკიდებელი შერჩევა იუნესკოს ექსპერტებად სამუშაოდ გასაგზავნად;

— რესპუბლიკის მონაწილეობა იუნესკოს მიერ ახალგაზრდობის სწავლების, სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების სამეურნეოანგარიშიანი ფონდის შექმნამდე:

— საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს აპარატი იქმნება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საშტატო ერთეულების ხარჯზე;

— საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას კისრულობს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ბ) საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების სამეურნეოანგარიშიანი ფონდის შექმნის შემდეგ ამ პუნქტში აღნიშნული ყველა საკითხი წყდება ზემოხსენებული ფონდის სახსრების ხარჯზეც;

გ) საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო განლაგებულია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

4. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოსთან ერთად ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ საბჭოსთან შეიქმნას განათლების ფონდი, რომელსაც დაეკისრება საზღვარგარეთ სტუდენტთა, ასპირანტთა, მასწავლებელთა და მენეჯერთა მომზადების, საზღ-

ვარგარეთ მომზადების ცენტრებთან ამ კატეგორიის ახალგაზრდობის, აგრეთვე მოსწავლეთა გაცვლის ფუნქციები.

ბიბლიოთეკა

5. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შესახებ.

6. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს № 2 პოლიკლინიკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 31 ივლისი, № 381

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 31 ივლისის № 381 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ

1. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო იქმნება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეთანხმების საფუძველზე იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერების დაწესებულებათა და სასწავლებელთა უფრო ფართოდ ჩაბმის და რესპუბლიკაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით.

2. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს სამუშაო გეგმები დგება სსრ კავშირში იუნესკოს საპროგრამო საქმიანობის, საქართველოს სსრ ორგანიზაციათა წინადადებებისა და სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემდგომ ამტკიცებს ეს კომისია და შეაქვს თავის სამუშაო გეგმაში.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ შესაბამისი ორგანიზაციების მიერ იუნესკოს საქმიანობაში სსრ კავშირის მონაწილეობის გეგმების, აგრეთვე იუნესკოს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებას და ხელს უწყობს მათს რეალიზაციას.

3. სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიასთან კონსულტაციით საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო ამყარებს და ანვითარებს ურთიერთობას იუნესკოს წარმომადგენლობებთან, იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

4. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო ამზადებს და ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, შეხვედრებსა და აქციებს, რომლებიც იუნესკოს ეგიდით ხორციელდება, აგრეთვე ხელს უწყობს იუნესკოს მიზიდვას რესპუბლიკაში კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში განსახორციელებელ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

5. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების თვალსაჩინო მოღვაწეთა მიზიდვით ხელს უწყობს იუნესკოს პროგრამის მიხედვით პროექტების წამოყენებას, მომზადებასა და შესრულებას.

6. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო ქმნის განათლების ფონდს საზღვარგარეთ სტუდენტთა, მასწავლებელთა და მენეჯერთა მომზადების, ახალგაზრდობის გაცვლის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შემადგენლობა

7. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო შედგება რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე მეცნიერებისა და განათლების ცალკეული თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან. საბჭოს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საბჭოს ჰყავს პასუხისმგებელი მდივანი.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი.

## საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა მუშაობის ორგანიზაციული პრინციპები

8. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო სხდომებს ატარებს სრული შემადგენლობით წელიწადში ორჯერ სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სხდომამდე საკმაო დროით ადრე. სხდომების დროს ისმენენ ანგარიშებს განვლილ პერიოდში საბჭოს საქმიანობის, მისი ცალკეული კომიტეტების მუშაობის შესახებ, განიხილავენ საბჭოს საქმიანობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს და ამტკიცებენ მომავალი წლის სამუშაო პროგრამას.

საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში მის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელიც იკრიბება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

9. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს ფარგლებში შეიძლება შეიქმნას კომიტეტები სხვადასხვა პროგრამის მიხედვით. თემატური კომიტეტების თავმჯდომარეები შედიან საბჭოს პრეზიდიუმში.

10. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს მიმდინარე მუშაობას ახორციელებს მისი აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

11. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას განსაზღვრავს საბჭო გადასაწყვეტი ამოცანების გათვალისწინებით.

12. საბჭოს აპარატის ფარგლებში იქმნება საინფორმაციო ცენტრი, რომელიც სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სამდივნოს საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრის ფილიალს წარმოადგენს.

13. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს პრეზიდიუმს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

— მუდმივი კავშირი იქონიოს სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სამდივნოსთან;

— კავშირი იქონიოს იუნესკოს სამდივნოსთან და მის წარმომადგენლობებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოამზადოს მასალები საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის;

— მოამზადოს საბჭოს სამუშაო გეგმები და კონტროლი გაუწიოს ამ გეგმების შესრულებას;

— მოამზადოს შემსრულებელი ორგანიზაციების წინადადებათა საფუძველზე პროექტები და წარადგინოს ისინი იუნესკოს პროექტების სახით;

—გაუწიოს შემსრულებელ ორგანიზაციებს დახმარება იუნესკოს ეგიდით განსახორციელებელ საერთაშორისო ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში;

— გაუწიოს სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სამდივნოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრებისა და სასწავლებლების სამმართველოს დახმარება იუნესკოს სამდივნოს წარმომადგენლობებში სამუშაოდ გასაგზავნ სპეციალისტთა შერჩევაში;

— გაუწიოს დახმარება იუნესკოს ექსპერტებად გასაგზავნ სპეციალისტთა შერჩევაში;

— გაუწიოს დახმარება იუნესკოს გამოცემებში გამოსაქვეყნებლად მასალების მომზადებასა და წარდგენაში, დაინტერესებულ ორგანიზაციებში იუნესკოს საინფორმაციო მასალებისა და პუბლიკაციების გავრცელებაში;

— განახორციელოს სამუშაო ურთიერთობა იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიების სამდივნოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

— რეგულარულად გააცნოს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობას იუნესკოს საქმიანობა და სსრ კავშირის მონაწილეობა მასში.

14. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს საქმიანობის დაფინანსება, აგრეთვე მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს სახსრების ხარჯზე, ხოლო საბჭოს განათლების სამეურნეოანგარიშიანი ფონდის შექმნის შემდეგ — ამ ფონდის ხარჯზეც.

15. საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსება ხდება ღონისძიებებში მონაწილე რესპუბლიკის ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე საბჭოთა მანეთით.

## 72 საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის შექმნის შესახებ

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თანხმობა მიეცეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მასთან შექმნილი საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს წინადადებას ზემოაღნიშნული საბჭოს განათლების თვითმმართველი არაკომერციული საზოგადოებრივი ფონდის შექმნის შესახებ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის ძირითადი ამოცანებია საზღვარგარეთ სწავლების ცენტრებში სტუდენტთა, ასპირანტთა, მასწავლებელთა და მენეჯერთა მომზადების ორგანიზაცია და დაფინანსება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მიხედვით.

გათვალისწინებულ იქნეს, რომ განათლების ფონდის საქმიანობა მიზნად ისახავს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდი, როგორც არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, და მისი საქვეუწყებო საწარმოები უნდა განთავისუფლდნენ გადასახადების, სახელმწიფო ბაჟისა და საბაჟო ქირის, სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი სხვა გამოსაღების გადახდისაგან.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდი არის სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, თავისი საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები ბანკში;

— განათლების ფონდის წესდებასა და მისი გამგეობის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო;

— განათლების ფონდის შტატის თანამშრომელთა რიცხოვნობასა და ხელფასს განსაზღვრავს ფონდის გამგეობა საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს მიერ დაწესებული შრომის ანაზღაურების ნორმატივის ფარგლებში.

5. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდს შექმნას საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ჩაურიცხავენ ფონდს მოგების 50 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოები იქმნება და ფუნქციონირებენ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ერთობლივ საწარმოებსა და კოოპერატივებს გადაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხონ სავალუტო მოგების ნაწილი საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდს.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ სასწავლებლები, მიიღონ მონაწილეობა საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის შექმნასა და საქმიანობის დაფინანსებაში.

8. გადაერიცხოს საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდს 50 ათასი მანეთი როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთდროული ანაზარი.

9. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის პასუხისმგებელ მდივანს ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს № 2 პოლიკლინიკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 31 ივლისი, № 382

## 73 ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეისათვის დ. ნ. კაკაბაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და მიეკუთვნოს ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეას დიდი ქართველი მხატვრის დავით ნესტორის ძე კაკაბაძის სახელი მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 2 აგვისტო, № 391

## 74 სამსახურებრივ მივლინებათა საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„სამსახურებრივ მივლინებათა საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის № 454 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 მაისის № 321 დადგენილება „სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 28 იანვრის № 73 დადგენილება „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე“.

2. შეტანილ იქნეს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამოფენის მთავარი კომიტეტის საგზურებით გაგზავნილ პირებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 28 იანვრის № 73 დადგენილების მოქმედების გავრცელების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 21 დეკემბრის № 844 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

დადგენილების დასახელებაში სიტყვები „1980 წლის 28 იანვრის № 73“ შეიცვალოს სიტყვებით: „1988 წლის 7 მაისის № 225“;

დადგენილების ტექსტში სიტყვები: „1980 წლის 28 იანვრის № 73 დადგენილებისა „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე“ შეიცვალოს სიტყვებით: „1988 წლის 7 მაისის № 225 დადგენილებისა „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 ივნისის № 454 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 ივნისის № 430 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ დებულების მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მუშათა მომარაგების განყოფილებათა შექმნის საკითხის შეთანხმებას სსრ

კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 2 აგვისტო, № 394

## 75 სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ

სოფლის სოციალური განვითარების დასაჩქარებლად, სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი შესაძლებლობების უფრო სრულად გამოსავლენად, სასურსათო პრობლემის გადაჭრაში მათი წვლილის გასადიდებლად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 აპრილის № 290 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესრულებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 აპრილის № 290 დადგენილება „სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ".

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სამეურნეო ორგანოების გადაუდებელ ამოცანად მიჩნეულ იქნეს დინამიკური სოციალური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება სოფლის მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ამასთან თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ უმთავრესი პრინციპი, რომ განუხრელად მატულობდეს დინამიკური სოციალური პოლიტიკის ზემოქმედება აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, სოფლის ცხოვრების ყველა მხარეზე, შეუნელებელი ყურადღება ექცეოდეს სოფლის მოსახლეობის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, სოციალური სამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანობის პრინციპის განხორციელებას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევას.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპის თანდათანობითი ზრდა, ამასთან გაითვალისწინონ უმთავრესი ამოცანა, რომ 1998 წლისათვის სოფლის თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ცალკე ბინა ან ინდივიდუალური სახლი, ხოლო 2000 წლისათვის ბინით უზრუნველყოფა სოფლის ერთ მცხოვრებზე საშუალოდ რესპუბლიკაში გაიზარდოს საერთო ფართობის 21 კვადრატულ მეტრამდე, ამაღლდეს საბინაო ფონდის კომფორტულობა.

4. რეკომენდაცია მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სოფლად ინდივიდუალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის არსებითად გაფართოებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი სოფლებისა და დაბების კომპლექსური კეთილმოწყობისათვის, მათი გაზიფიკაციის, წყალმომარაგების, გათბობისა და საიმედო სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფისათვის;

— გააძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების, არქიტექტურის ორგანოების პასუხისმგებლობა სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის ხარისხისა და არქიტექტურული იერისათვის;

— დააწესონ მტკიცე, უშეღავათო საავტორო ზედამხედველობა და ტექნიკური კონტროლი საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების, საინჟინრო ქსელებისა და ნაგებობათა მშენებლობის ხარისხისადმი;

— ყოველმხრივ განავითარონ სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, გააფართოონ მერქნისა და ადგილობრივი საშენი, თანამედროვე მოსაპირკეთებელი და საბურული მასალისაგან სახლებისა და დეტალების კომპლექტების, საინჟინრო მოწყობილობის ავტონომიური სისტემების გამოყენება.

6. რესპუბლიკის მოსახლეობის სათბობით მომარაგების ძირეულად გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა, საწარმოო გაერთიანებებმა „საქტრანსგაზმა“ და „საქენერგომ“

ჟურნ. 75
ეროვნული

1991-1995 წლების ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინონ, რომ 1995 წლისათვის უნდა უზრუნველყონ:

— ერთი სული მოსახლის 2,5-ჯერ მეტი ქსელური გაზით მომარაგება და მისი გამოყენებით საცხოვრებელი სახლების (ბინების) გათბობა;

— კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის 1,4-ჯერ მეტი ელექტროენერგიის გაცემა; ელექტროენერგიის გამოყენების გაფართოება სოფლად საცხოვრებელი სახლების თბომომარაგებისათვის (ღამის საათებში ენერგოსისტემების მინიმალური დატვირთვის დროს ელექტროენერგიის გამოყენების ხარჯზე); ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდა და სოფლის მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესება;

— საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ — მოსახლეობისათვის ქვანახშირის ულიმიტო მიყიდვაზე გადასვლა 1990-1991 წლებში.

7. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ ღონისძიებანი იმის უზრუნველსაყოფად, რომ 1991 წლისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური კარმიდამოები მყარსაფარიანი გზებით დაუკავშირდნენ რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრებს, ხოლო 2000 წლისათვის მეურნეობათა საწარმოო უბნები და განყოფილებები — ცენტრალურ კარმიდამოებს. ამ მიზნისათვის გამოიყენონ მეურნეობათა საკუთარი სახსრები.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულად დასაკმაყოფილებლად ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებზე, სკოლებზე, პროფტექნიკურ სასწავლებლებზე; შექმნან მცირე სასოფლო დასახლებულ პუნქტებში „საბავშვო ბაღი-სკოლის“ ტიპის დაწყებითი სკოლები და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი, აამაღლონ მოსწავლეთა ფიზიკურ-ესთეტიკური აღზრდის დონე, აღჭურვონ სოფლის სახალხო განათლების დაწესებულებანი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოებით, ავეჯითა და ინვენტარით, უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედში სოფლის სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების დაკომპლექტება კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, ძირითადად გადავიდნენ ერთცვლიან სწავლებაზე.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სოფლის მოსახლეობის მზარდ სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შემდგომი განვითარება, განამტკიცონ კლუბების, ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნან კულტურულ-სპორტული კომპლექსები, ვიდეოსალონები და სპორტული ნაგებობანი, მიაღწიონ, რომ სოფლის მოსახლეობა სრულად იყოს მოცული მრავალპროგრამიანი სატელევიზიო გადაცემებითა და რადიომაუწყებლობით, ერთიორად გაზარდონ 1995 წელს სოფლის მოსახლეობის კავშირგაბმულობით მომსახურების მოცულობა; XIII ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველყონ ბინის ტელეფონებით სოფლის ყოველი მეოთხე, ხოლო 2000 წლისათვის — ყოველი მეორე ოჯახი.

10. ცეკავშირის გამგეობამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების ადგილობრივმა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მკვეთრად გააუმჯობესონ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის დონე, დააჩქარონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მატერიალური ბაზის განვითარება.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ XIII ხუთწლედის საიჯარო სამუშაოთა გეგმებში პირველ რიგში და სრულად შევიდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების განაცხადებით (დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე) მშენებარე სოფლის სოციალური სფეროს ობიექტები.

12. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი სამშენებლო ინდუსტრიის ახალი სიმძლავრეების შესაქმნელად და არსებულის უფრო რაციონალურად გამოსაყენებლად, რათა 1995 წლამდე მთლიანად დაკმაყოფილდეს სოფლის სამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილება ადგილობრივ საშენ მასალაზე, განავითარონ მონოლითური, აგრეთვე ინდუსტრიული ხის სახლთმშენებლობა, ააშენონ სამეურნეობათაშორისო საფუძველზე მოსაპირკეთებელი მასალის დამამზადებელი ქარხნები.

13. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, XIII ხუთწლედის გეგმის პროექტის შემუშავების დროს გაითვალისწინონ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განსავითარებლად მოწყობილობათა მიწოდება იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის დასახული პროგრამის შესრულებას სოფლად.

14. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდებოდეს განსაკუთრებით მძიმე ბუნებრივ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პირობების ზონებში განლაგებული ეკონომიკურად ჩამორჩენილი მეურნეობებისათვის საცხოვრებელი სახლების, შიდასამეურნეო გზების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ელექტრიფიკაციის, გაზიფიკაციის, წყალმომარაგებისა და კომუნალური მეურნეობის სხვა ობიექტების მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან ერთად 1989 წლის 1 ოქტომბრამდე დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც ზემოთ აღნიშნული პირობების გათვალისწინებით ფინანსდებიან რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ XIII ხუთწლედის გეგმის პროექტში მატერიალური რესურსების სრული მოცულობით გამოყოფა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იმ გეგმების შესაბამისად, რომელთაც ადგენენ ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

16. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განახორციელონ ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულად დასაკმაყოფილებლად საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის საჭირო საშენი მასალით, ნაკეთობებით, კონსტრუქციებით, საინჟინრო და სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობით.

17. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა

საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად:

— შეიმუშაონ სოფლის მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამები, რომლებშიც გაითვალისწინონ ახალგაზრდობის მიერ პროფესიის არჩევის შესაძლებლობათა გაფართოება, მეურნეობებისა და სოფლის მშრომელთა შემოსავლის დონის ამაღლება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე სამრეწველო საწარმოებისა და სარეწების, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმოებისა და სარეწების, განვითარება და 1989 წლის დამლევამდე წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— ხელი შეუწყონ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამეურნეობათაშორისო საწარმოებთან სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების პირდაპირი საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარებას, რათა კოოპერაციის საფუძველზე მოაწყონ სოფლად სახალხო მოხმარების საქონლის, საშენი მასალის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების წარმოება;

— რეკომენდაცია მისცენ მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დადონ ურთიერთხელსაყრელ პირობებში გრძელვადიანი შეთანხმებანი ამ საწარმოთა ძალებითა და სახსრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალური და საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაგებად და, შესაბამისად, მეურნეობების მიერ ამ საწარმოთა კოლექტივებისათვის სასურსათო პროდუქტების მისაწოდებლად.

18. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

— 1989 წლის დამლევამდე წარმოადგინონ წინადადებანი სოფლად არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციის რეგიონებში მუშაკების მატერიალური უზრუნველყოფისა და მათთვის ბინების მიცემის შეღავათიანი პირობების შესახებ;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პირადი დამხმარე მეურნეობის, შრომითი საქმიანობის კოოპერაციული და ინდივიდუალური ფორმების, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების დამატებითი წყაროს განვითარებას;

— უფრო სრულად დააკმაყოფილონ სოფლის მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება მაღალი ხარისხისა და გაუმჯობესებული ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონელზე, აგრეთვე სხვადასხვაგვარი სახეობის ფასიან მომსახურებაზე.

ეროვნული

19. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ დიდი სოციალური მასშტაბის ღონისძიებანი სოფლად საინჟინრო ქსელებისა და კომუნიკაციების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების სხვა ობიექტების ტექნიკური მომსახურების გასაუმჯობესებლად.

20. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა XIII ხუთწლედის გეგმის პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს იხელმძღვანელონ იმ აუცილებლობით, რომ უნდა შეიქმნას სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო მომსახურების ერთიანი სისტემა, ამასთან, ფართოდ გამოიყენონ ქალაქების პოტენციალი ამ სახეობათა მომსახურებაში სოფლის ჩამორჩენის უმოკლეს დროში დასაძლევად.

21. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი სასურსათო და არასასურსათო საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად გასაფართოებლად, უზრუნველყონ, რომ 1995 წელს 1990 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა სოფლად 1,6-ჯერ გაიზარდოს, ხოლო მომსახურების მოცულობა — ერთიორად და მეტად; უხვად მოამარაგონ სოფლის სამომხმარებლო ბაზარი გაზრდილი მოთხოვნილების საქონლით, მათ შორის ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ფერადი ტელევიზორებით, მაცივრებით, სარეცხი და საკერავი მანქანებით, მთლიანად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, ავტოტრანსპორტის რემონტზე, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების მომსახურების სამუშაოთა შესრულებაზე.

22. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საავტომობილო გზების ექსპლუატაციის გაუმჯობესების მიზნით შექმნან სოფლად ამ გზების რემონტისა და შენახვის ქვედანაყოფები სამშენებლო, სარემონტო საწარმოების, წყალსამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის საფუძველზე.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ სოფლის სოციალურ გარდაქმნას სათანადო უკუგება შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევუხამებთ ისეთ ეფექტიან დემოგრაფიულ პოლიტიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად, რომელშიც გათვალისწინებულია რეგიონალური თავისებურებანი.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგმვის, ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს 1990 წლისათვის დაასრულონ სოფლის სოციალური განვითარების XIII ხუთწლედის პროგრამების შემუშავება სოფლის რაიონების დემოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ პროგრამებში პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნიონ სოფლად ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ნაკლებმუშახელიან რეგიონებში შობადობის სტიმულირების ღონისძიებათა კომპლექსი. უფრო სრულად გაითვალისწინონ მოსახლეობის ზრდის ტემპის, სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ასაკობრივი და საოჯახო სტრუქტურის სოციალური და ტერიტორიული მობილურობის დონის რეგიონალური განსხვავებანი.

24. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 აპრილის № 290 დადგენილებით ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ოლქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს უფლება მიენიჭათ შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით ნაკლებმუშახელიან სასოფლო რაიონებში, ტერიტორიების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით დააწესონ ბავშვებისათვის დახმარებანი, აგრეთვე ყველა სახეობის დახმარების დანამატები, რომლებიც ინიშნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

25. რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს:

— ყოველგვარი მატერიალური დახმარება გაუწიონ ბავშვებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახებს, ნაკლებად უზრუნველყოფილ და მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა თვიური ფაქტიური შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით არ აღემატება 60 მანეთს. შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრთა საერთო კრებების თანხმობით საკუთარი სახსრების ნაწილი მოახმარონ ყოველმხრივი დახმარების გაწევას ასეთი ოჯახებისათვის, მათი საჭიროებისა და ინტერესების უფრო სრულ დაკმაყოფილებას და სასწავლო წლის დაწყების წინ მისცენ მრავალშვილიან და ნაკლებ უზრუნველყოფილ ოჯახებს დახმარება სასკოლო და სპორტული ფორმის, სასკოლო ნივთების შესაძენად;

— დახმარება გაუწიონ მრავალშვილიან და ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღსაზრდელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისცენ სახელმწიფო დახმარების დანამატები ბავშვებისათვის მარტოხელა დედებს, მრავალშვილიან და ნაკლებუზრუნველყოფილ ბავშვიან ოჯახებს;

— გამოუყონ საშენი მასალა, სათბობი და გაუწიონ სატრანსპორტო მომსახურება მრავალშვილიან და ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს შეღავათიანი პირობებით, სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურონ მათ სახლების რემონტის ღირებულება;

— ნაწილობრივ დაფარონ ახალგაზრდა, მრავალშვილიანი და ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვიანი ოჯახებისათვის გაცემული სესხი, მისცენ მათ შეღავათები ამ სესხით სარგებლობისათვის პროცენტული დანარიცხების გადახდისას.

26. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მონაწილეობით:

— განახორციელონ ღონისძიებანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო და სამკურნალწამლო დახმარების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სოფლად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსავითარებლად. გააფართოონ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ქსელი. სოფლის მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით ყველა სპეციალობის ექიმებით დააკომპლექტონ პოლიკლინიკები, რაიონული საუბნო საავადმყოფოები, აღჭურვონ ისინი თანამედროვე მოწყობილობით, გააუმჯობესონ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დააკომპლექტონ და აღჭურვონ ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოებთან არსებული მუდმივმოქმედი გამსვლელი ბრიგადები სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად;

— რეკომენდაცია მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, შექმნან პანსიონატები ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, ინვალიდებისათვის, მარტოხელა და ღრმად მოხუცი მოქალაქეებისათვის, ამასთან უზრუნველყონ ისინი კვებით, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებების, შრომითი კოლექტივების საბჭოების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკურ პროფსაბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების 1991-1995 წლების პროგრამა.

27. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კვალიფი-

ციურ კადრებზე, განახორციელონ XIII ხუთწლედში ორგანიზაციული ღონისძიებანი და აქტიურად მიიზიდონ რესპუბლიკის მუდმივ საცხოვრებლად შრომით ნაკლებმუშახელიანი რეგიონების სოფლებში ქალაქებისა და მუშათა დაბების, აგრეთვე რესპუბლიკის ქართული ჭარბმუშახელიანი რაიონების მცხოვრებნი, ყურადღება მიაპყრონ მცირე სოფლების შენარჩუნებასა და განვითარებას.

პირებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ სამუშაოდ გაემგზავრონ ნაკლებმუშახელიანი რაიონების სოფლებში, დაუჯავშნონ საცხოვრებელი ფართობი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

28. რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს უსასყიდლოდ მისცენ ოჯახებს პირადი დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად ძროხა (უშობელი), გოჭი, ცხვარი და პირველი წლის განმავლობაში დახმარება გაუწიონ მათ პირუტყვის საკვებით.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებსა და რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად ჩადიან სოფლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობისათვის, მისცენ დასასახლებლად შეღავათები (კერძოდ, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ფულადი დახმარების, დაბევგვრის, ბინით, სათბობით, კომუნალური მომსახურებით, საშენი მასალითა და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფის შეღავათები), რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით. ამასთან, ხარჯები, რომლებსაც ისინი წარუდგენენ, აუნაზღაურონ მეურნეობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან.

29. გლეხთა მეურნეობების სტიმულირებისა და კვების პროდუქტების წარმოების გადიდებაში მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით დაწესდეს შემდეგი შეღავათები:

— 5 წლით განთავისუფლება საარენდო ქირისაგან;

— 50 ათასამდე მანეთი გრძელვადიანი კრედიტის მიცემა 50 წლამდე ვადით საცხოვრებელი სახლისა და საკარმიდამო ნაგებობათა მშენებლობისათვის, კრედიტის მიღების მეექვსე წლიდან მისი დაფარვის დაწყებით.

სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა 1989 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაონ მეურნეობებისათვის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით გრძელვადიანი კრედიტების მიცემის წესი საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად, აგრეთვე განუსაზღვრონ მათ მიწების მელიორაციის, გზების, გაზის, ელექტრო და თბოქსელების, წყალსადენებისა და კომუნალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა დაფინანსებისა და განხორციელების პირობები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გლეხთა მეურნეობების წევრებს, მოარენდეებს გამოუყონ სოფლის სხვა მცხოვრებთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაბრად ადგილები სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში და უზრუნველყონ ისინი სამედიცინო და სხვა სახის მომსახურებით.

30. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი გარემოს დაცვის მდგომარეობისადმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისადმი იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს მათი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

31. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა ამ დადგენილებით გათვალისწინებული სოფლის სოციალური განვითარების ღონისძიებათა განსახორციელებლად, გამოძებნონ დამატებითი რეზერვები და შესაძლებლობანი არასაწარმოო სფეროს ობიექტების მშენებლობის გასაფართოებლად სოფლად.

32. რეკომენდაცია მიეცეთ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, კინემატოგრაფიას, შემოქმედებით კავშირებს, გამომცემლობებს აქტიური პროპაგანდა გაუწიონ საქმიანობას სოფლის ძირეული გარდაქმნისათვის, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განსამტკიცებლად, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ გლეხკაცის შრომის, სოფლად ცხოვრების წესის პრესტიჟი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სოფლის ძირეული გარდაქმნის ფართო მასშტაბის პროგრამა მოითხოვს ახლებურ მიდგომას, სოფლის სოციალური პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტიან გზებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ პროგრამის რეალიზაციის პირველი შედეგები უკვე უახლოეს ხანში იგრძნოს სოფლის თითოეულმა მშრომელმა, გლეხკაცის ყველა ოჯახმა, რადგან ყოველივე ეს, საბოლოოდ, მიზნად ისახავს სასურსათო დოვლათის შექმნას, ყველა საბჭოთა ადამიანის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, გარდაქმნის პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 7 აგვისტო, № 400

## 76 საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საავტორო საზოგადოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს წინადადება აღნიშნულ სააგენტოსთან საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ავტორის“ შექმნის შესახებ.

2. რესპუბლიკურმა ნებაყოფლობითმა საავტორო საზოგადოებამ (საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორმა“) უზრუნველყოს რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების, ავტორთა და მშრომელი მასების ჩაბმა საავტორო უფლებების დაცვაში, ხელი შეუწყოს სააგენტოს საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების საზღვარგარეთ გამოსაცემად და საჯაროდ შესასრულებლად საერთაშორისო კონტრაქტებისა და საოპციონო შეთანხმების გაფორმებაში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე საავტორო უფლებების დარგში ჟენევის კონვენციის განხორციელებაში, საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლაში.

3. საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართოს 1989 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

4. დამფუძნებელი კონფერენციის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა, დანართის თანახმად.

5. გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისში“ საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ წესდების პროექტი.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს 5 ათასი მანეთი დამფუძნებელი კონფერენციის ჩასატარებლად.

7. საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ სახსრები იქმნება:

ა) საზოგადოების ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების შენატანებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, ცალკეული მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობისაგან;

ბ) საზოგადოების მიერ შექმნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობისა და სხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ გამგეობას:

— შექმნას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი, გორი, ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი) საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები;

— დადგენილი წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნას საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის კოოპერაციული და სააქციონერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოები და ორგანიზაციები, საზოგადოებისათვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად;

— ააშენოს საკუთარი სახსრებით მისი სპეციფიკის შესაბამისად სამრეწველო საწარმოები, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები;

— გამოუშვას პროდუქცია და ნაწარმი, რომლებიც მისი საქმიანობის პროფილს შეესაბამება;

— შექმნას ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი შედგება საქართველოს სსრ ქართველ ავტორთა საზღვარგარეთის გამოცემებისა და საზღვარგარეთელ ქართველოლოგთა ნაწარმოებებისაგან;

— საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დადგენილი წესით განუსაზღვროს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს პროდუქციისა და მომსახურების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და ხელოვნების ოსტატთა კონცერტების, გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების ბილეთების ფასები და სხვა ღონისძიებების ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავალი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ ფონდში შედის;

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას საზღვარგარეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან ერთად პირდაპირი კონტაქტების საფუძველზე შერეული საწარმოები, განახორციელოს ერთობლივი საინფორმაციო-პროპაგანდისტული, სამეცნიერო, შემოქმედებითი, ეკონომიკური ღონისძიებანი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის დადგენილი წესით;

— სამუშაოს მოცულობის შესაბამისად ამა თუ იმ პროგრამის შესასრულებლად მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შეთავსების საფუძველზე;

— საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოსთან ერთად მიანიჭოს პრემიები საზღვარგარეთ ყველაზე პოპულარულ ქართველ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მეცნიერებს, სცენარისტებს, აგრეთვე უცხოელ მთარგმნელებს, გამომცემლებს, საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს საზღვარგარეთელ პარტნიორებს, მათ შორის უცხოეთის საავტორო-სამართლებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საზღვარგარეთელ ქართველ, აფხაზ, ოს და რესპუბლიკის სხვა ეროვნების ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებების პოპულარიზაციაში;

— საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოსთან ერთად მოაწყოს საერთაშორისო სიმპოზიუმები, კონფერენციები, დისკუსიები, „მრგვალი მაგიდის“ გარშემო და სხვა ღონისძიებანი ქართველ ავტორთა საზღვარგარეთელი გამომცემლების, მათი მთარგმნელების, შემსრულებლების მონაწილეობით:

— ნებაყოფლობით საფუძველზე საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ და საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს წინაშე დასახული პრობლემების გადასაჭრელად (საზღვარგარეთის დელეგაციების მიღება, საერთაშორისო ღონისძიებების: სიმპოზიუმების, სამეცნიერო კონფე-

რენციების, „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა, სარეკლამო გამოცემების, გან-ხორციელება, საზღვარგარეთელი პარტნიორებისათვის პრემიების დაწესე[?]-ბა) მიიზიდოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოოპერატივები, საიჯარო ორგანიზაციები, რომლებიც ცნობილ ქართველ, აფხაზ, ოს და სხვა ეროვნების მწერალთა, მეცნიერთა, კომპოზიტორთა, მხატვართა მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებში ფუნქციონირებენ და სურვილი აქვთ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზღვარგარეთ მათი თანამემამულე ავტორების ნაწარმოებებისა და ნაშრომების პუბლიკაციისა და შესრულების საქმეში.

9. სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა გახსნას ანგარიში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, სხვა მოქალაქეების, საზღვარგარეთის ორგანიზაციებისაგან შემოსული ვალუტის თანხების ჩასარიცხავად, ხოლო სსრ კავშირის ბინსოცბანკის, მრეწვმშენბანკის, აგრომრეწვბანკის, შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკებმა გახსნან დაქვემდებარებულ განყოფილებებში შესაბამისი ანგარიშები იმ სახსრების მისაღებად, რომლებსაც გადარიცხავენ რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები და ცალკეული მოქალაქენი.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ ხელფასის საჭირო ფონდით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ 1990 წლიდან მოყოლებული გაითვალისწინონ საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორისათვის“ მატერიალური რესურსების, საწარმოო-ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობის გამოყოფა საბითუმო ვაჭრობის წესით საზოგადოების განაცხადების შესაბამისად.

12. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ გამგეობას საერთაშორისო კონტაქტების განხორციელებაში, მათ შორის იუნესკოს ხაზით.

13. მიენიჭოს საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ გამგეობის პრეზიდიუმს უფლებამოსილებანი:

— დაამტკიცოს რესპუბლიკური აპარატის, საქვეუწყებო საწარმოებისა და დაწესებულებების სტრუქტურა და შტატები, დადგენილი წესით განსაზღვროს მათი სარგოები და შეღავათები ხელფასის დადგენილი ფონდისა და საშტატო ნუსხის ფარგლებში;

— საზოგადოების ცენტრალური აპარატისა და რესპუბლიკური განყოფილებების მუშაკებს დაუნიშნოს ხელფასის დადგენილი ფონდის ფარგლებში წანამატები მაღალი შრომითი მიღწევებისათვის 50 პროცენტამდე ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე. წანამატები მუშაობის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს ან შემცირდეს.

14. საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ აპარატის მუშაკებზე შეიძლება გავრცელდეს იმ მუშაკებისათვის დადგენილი ხელფასის წანამატე-[illegible], რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და ფლობენ უცხო ენებს.

15. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დროებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ივნისის № 276 დადგენილებით გათვალისწინებული ავტორის სახლის მშენებლობის დამთავრებამდე, გადასცეს დადგენილი წესით საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორს“ ლენინის მოედნის № 4 შენობა, რომელიც უკავია საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად 1990 წელს გამოყოს საჭირო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ სახლის კაპიტალური რემონტისათვის.

17. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ შესაბამისი დადგენილება საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების შესაქმნელად, მათთვის შენობების გამოსაყოფად და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ გადასცეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის“ ბალანსზე ერთი გამოთავისუფლებული ავტომანქანა გაზ-24 „ვოლგა“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გადაწყვიტონ საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორისათვის“ მთავრობის ავტომატური სატელეფონო სადგურის ერთი ტელეფონის და საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურის 5 ტელეფონის დადგმის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 აგვისტო, № 406

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 11 აგვისტოს № 406 დადგე-
ნილების დანართი

**საქართველოს სსრ საზოგადოება „ავტორის" დამფუძნებელი კონფერენციის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა**

ო. ქვილითაია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

გ. მაქაცარია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

ვ. ალფენიძე — საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა სააგენტოს უფროსი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

ვ. ასათიანი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი;

ჭ. ამირეჯიბი — მწერალი;

თ. აბულაძე — კინორეჟისორი;

ე. ამაშუკელი — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე;

რ. ამაშუკელი — პოეტი;

თ. ბუაჩიძე — საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე;

ხ. ბერულავა — საქართველოს ბავშვთა ფონდის თავმჯდომარე;

ზ. დარასელი — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

დ. დვალიშვილი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი;

ა. დვალიშვილი — საქართველოს |სსრ ,კულტურის მინისტრის მოადგილე;

ნ. ვასაძე — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის პირველი მოადგილე;

ა. იოსელიანი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი;

ვ. ლორთქიფანიძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე;

დ. კიტია — საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი;

ვ. გოგუაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

გ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

ფურც. 76
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. მგალობლიშვილი — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

მ. მაჭავარიანი — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

ვ. ფანჯიკიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე;

რ. ლლონტი — საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე;

გ. ყანჩელი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი;

ბ. შინკუბა — აფხაზეთის სახალხო პოეტი;

რ. ჩხეიძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი;

ნ. ჩერქეზიშვილი — გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

გ. ციციშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

ს. ცინცაძე — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

ზ. წერეთელი — საქართველოს დიზაინერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

გ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ლ. ხარბედია — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი;

ფ. ხალვაში — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი;

ნ. ჯუსოითი — ოსი მწერალი და მეცნიერი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

**77** „საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ინსტრუქცია „საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 14 აგვისტო, № 408

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 აგვისტოს № 408 დადგე-
ნილებით

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ**

1. „საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულების შესაბამისად დაწესებულ იქნეს მათი მონაწილეობა ფულადი შესატანით:

ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის მათ მიერ პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების მოცულობის 0,4 პროცენტი.

ბ) დამამზადებელ-გამსაღებელი ბაზებისათვის, რაიონული დამამზადებელი კანტორებისათვის მათ მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წლიური ბრუნვიდან, პურის მიმღები წარმოებისათვის (პურის მიმღები პუნქტები, სარეალიზაციო ბაზები, ელევატორები, პურის ბაზები) წლიური კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით გაანგარიშებული ერთიანი გასაშვები ფასების 0,4 პროცენტი.

გ) სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის წლიური ბრუნვის 0,03 პროცენტი.

2. რაიონებში განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვის წლიურ გეგმებს თითოეული რაიონისათვის ადგენენ საგზაო ორგანიზაციები, უთანხმებენ მათ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს. გეგმებს ამტკიცებს **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.**

3. საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები, გაერთიანებები, კომბინატები, ტრესტები, ფირმები და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სხვა ორგანიზაციები (რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-შენახვაში ფულადი თანხებით მონაწილეობის გეგმას უთანხმებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს დადგენილი ფორმის თანახმად. ამასთან, როგორც წესი, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები ვალდებული არიან შეთანხმების დროს წარმოადგინონ სიები თითოეული ორგანიზაციის დასახელებით, მათი ძირითადი საქმიანობის, გადასახდელი თანხის, საბანკო რეკვიზიტების, მისამართის, ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარის, ინიციალებისა და სამსახურებრივი ტელეფონის ნომრების აღნიშვნით.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისაგან მიღებული და საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებთან, გაერთიანებებთან, კომბინატებთან, ტრესტებთან, ფირმებთან და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებული საგეგმო მაჩვენებლების საფუძველზე ადგენენ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვის საანგარიშო წლის ერთიან რესპუბლიკურ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და დადგენილი წესით უგზავნის შესაბამის ორგანიზაციას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

5. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ ფულადი შესატანით, ვალდებულნი არიან დროულად და შეუფერხებლად ჩარიცხონ თანაბარწილად თანხები საგზაო ორგანიზაციების სპეციალურ ანგარიშზე საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის პირველი თვის 20 რიცხვამდე მათთვის განსაზღვრული წლიური გეგმის თანახმად მიუხედავად მათი საფინანსო მაჩვენებლების შესრულებისა.

6. საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის სახსრების გადარიცხვას აწარმოებენ წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის და სხვა ანალოგიური ფონდებიდან.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოები და ორგანიზაციები მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების მეშვეობით ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოს იმ ქალაქსა და რაიონში, სადაც მათ საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის არა აქვთ გახსნილი ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგარიში, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც მონაწილეობენ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში თავიანთი

ძირითადი საქმიანობის იმ ოდენობით, რასაც ისინი ამ ქალაქში ან რაიონში ასრულებენ, მაშინ ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან ცნობა საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (გაცემული შესაბამისი რაიონის ან ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ) დროულად წარუდგინონ სახალხო დეპუტატთა იმ რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს, სადაც ისინი ძირითადად საქმიანობენ და საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგარიში, რათა განთავისუფლდნენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან იმ ნაწილის გამოკლებით, რაც წარმოდგენილ ცნობაში იქნება ასახული. თუ ორგანიზაცია ასეთ ცნობას არ წარმოადგენს, მაშინ იგი მონაწილეობს იმ ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-შენახვაში, სადაც დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფება თავისი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,4 პროცენტის ოდენობით.

8. გადასარიცხავ ფულად თანხებში არ ჩაითვლება ის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათს კუთვნილ შიდსამეურნეო და საუწყებო გზებზე.

9. რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და ადგილობრივ საგზაო ორგანოებს შეუძლიათ დაუდგინონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს ცალკეული სახის საგზაო სამუშაოთა შესრულება მათთან შეთანხმებით და მათივე საწარმოო პროფილის გათვალისწინებით) მიწის სამუშაოები, მასალის დამზადება და გადამუშავება, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა სამუშაოები მათთვის დამტკიცებული საგზაო სამუშაოებისათვის გადასარიცხი თანხების მოცულობის ფარგლებში, ურთიერთანგარიშსწორების საფუძველზე.

10. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის დადგენილ ვადებში ფულადი თანხების გადარიცხვის მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის:

— კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციები ამ ინსტრუქციის მეხუთე პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით, საგზაო ორგანიზაციების წარდგინების საფუძველზე, უდავო წესით, გადაიხდიან მათ მიერ შეუტანელ ყოველ კვარტალურ ფულად შესატანს და ამავე თანხის 50 პროცენტს (სულ 150 პროცენტს);

— ასევე ამ ინსტრუქციის მეხუთე პუნქტის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნულ თანხებს, უდავო წესით, გადაახდევინებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საპატიო მიზეზით საწარმოებ[illegible]ზაციები არ ჩარიცხავენ ფულად შესატანს მიმდინარე წელს, მაშინ მათი აღნიშნული თანხა მომავალ წელს უნდა შეიტანონ იმ გეგმა-დავალების გადამეტებით, რომელიც ამ წლისათვის არის დადგენილი.

11. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის გადახდევინებული ფულადი სახსრები, აგრეთვე თანხა, რომელიც საგზაო სამუშაობაში მონაწილეობის გეგმით არის გათვალისწინებული, ჩაირიცხება რაიონებში — ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე; — რესპუბლიკის დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში) განლაგებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე.

აღნიშნული თანხები დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა, რემონტსა და მოვლა-შენახვაზე. მისი გამოყენება სხვა დანიშნულებით აკრძალულია.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ რესპუბლიკის დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში) განლაგებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან საგზაო სამუშაოებისათვის გადმორიცხული თანხები უნდა გამოიყენოს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის გამოყოფილი ზღვრული კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად და რესპუბლიკის რაიონების ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბ) რესპუბლიკის იმ რაიონებისათვის დასახმარებლად, რომელთაც არ ყოფნით საკუთარი შემოსავალი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის ან ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

13. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს ბრძანებით (რესპუბლიკის დაქვემდებარების ოთხი ქალაქისათვის თბილისი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი) სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო სამშენებლო ტექნიკის შესაძენად, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების, მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების ასაგებად და საპროექტო-საკვლევაძიებო სამუშაოთა ასანაზღაურებლად შეიძლება დაიხარჯოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულებით გათვალისწინებული ფულადი სახსრების არა უმეტეს 20 პროცენტისა ყოველწლიურად.

ეროვნული

14. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში არ მონაწილეობენ:

— სასწავლებლები, ადმინისტრაციული, სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან;

— სანახაობითი დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა);

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს ის საგზაო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მშენებლობას, რეკონსტრუქციას, რემონტსა და ექსპლუატაციას;

— საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და საბინაო სამმართველოები;

— სსრ კავშირის ბანკები და სსრ კავშირის სახდაზღვევის დაწესებულებანი.

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, საგზაო სამუშაოებში მონაწილეობენ დადგენილი წესით.

15. წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას ინარჩუნებენ მომდევნო წელსაც.

---

## 78 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაციის „ჯავახეთის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

დაკმაყოფილდეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების შუამდგომლობა და რეგისტრირებულ იქნეს საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაციის „ჯავახეთის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 14 აგვისტო, № 414

რეგისტრირებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 აგვისტოს № 414 დადგენილებით

## სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო

## ასოციაცია „ჯავახეთის“

# წესდება

### ზოგადი დებულება

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთი“, შემდგომ ასოციაცია „ჯავახეთი“ აერთიანებს საწარმოო-დაწესებულებებს, სამეცნიერო, პედაგოგიურ, სამრეწველო, კოოპერაციულ, სამკურნალო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს.

ასოციაცია „ჯავახეთი“ მხარს უჭერს რუსთაველის საზოგადოების პროგრამას და პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს მის განხორციელებაში.

რუსთაველის საზოგადოება იცავს ასოციაცია „ჯავახეთის“ კანონიერ ინტერესებს. რუსთაველის საზოგადოების პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციები უშუალოდ მონაწილეობენ ასოციაცია „ჯავახეთის“ ფორმირებასა და საქმიანობაში.

ასოციაცია „ჯავახეთის“ მიზანია მორალური მხარდაჭერა და ქმედითი მატერიალური დახმარება გაუწიოს სტიქიისაგან დაზარალებული მთიანი აჭარის მოსახლეობას, შეუქმნას აუცილებელი სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები ჯავახეთის ახალმოსახლეებს, გულისხმიერი დამოკიდებულებითა და მუდმივი თანადგომით შეუმსუბუქოს მათ ახალ გარემოსთან შეგუების მტკივნეული პროცესი.

ასოციაცია „ჯავახეთის“ პროგრამა ითვალისწინებს არა მხოლოდ აჭარელთა, არამედ ჯავახეთის მთელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემების გადაწყვეტას, აღნიშნულ რეგიონში ეროვნებათა შორის ურთიერთობის გაჯანსაღებასა და განმტკიცებას.

### ასოციაცია „ჯავახეთის“ ამოცანები

ასოციაცია „ჯავახეთი“ ისახავს შემდეგ ამოცანებს:

1. აიყვანოს აღრიცხვაზე ჯავახეთის რეგიონში ჩასახლებული და ჩასასახლებელი კონტინგენტი, დაამყაროს მათთან მუდმივი კონტაქტები და ყოველმხრივ დაეხმაროს ყოფითი პრობლემების მოგვარებაში.
2. შექმნას სამშენებლო ორგანიზაციების შექვეთით ნებაყოფლობითი სამუშაო რაზმები.
3. დააწესოს საზოგადოებრივი კონტროლი საცხოვრებელი სახლებისა და სასოფლო ობიექტების დროულად და ხარისხიანად მშენებლობისადმი.

4. შეიმუშაოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად მომავალ დასახლებათა ოპტიმალური სამეურნეო პროფილ[illegible]მის ორგანიზაციის რეკომენდაციები.

5. იზრუნოს სამცხე-ჯავახეთის ფლორის აღდგენაზე, ამ მიზნით ამთავითვე უკვეთავს სატყეო და სანერგე მეურნეობებს სპეციალისტების მიერ რეკომენდებული რაოდენობის ნერგს.

6. აღმოუჩინოს ფულადი ან მატერიალური დახმარება ეკონომიკურად ხელმოკლე მრავალსულიან ოჯახებს საქველმოქმედო ფონდის შესაძლებლობის ფარგლებში.

7. უფასოდ დააკომპლექტოს სასკოლო ბიბლიოთეკები. სისტემატურად შეავსოს ისინი ახალი გამოცემებით, უზრუნველყოს სასკოლო და სასოფლო ბიბლიოთეკები საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებით.

8. ყოველწლიურად უფასოდ მისცეს მოსწავლეებს:

ა) სასკოლო ფორმის ტანსაცმელი;

ბ) სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა, სასკოლო ინვენტარი, სპორტული ტანსაცმელი და ინვენტარი.

9. უფასოდ მოამზადოს სავამოცდო საგნებში ჯავახეთის რეგიონის აბიტურიენტები.

10. დამატებით დაუნიშნოს სტუდენტებს სტიპენდია (სულ ცოტა 50 მანეთი).

11. ასოციაცია „ჯავახეთში" გაერთიანებული ერთ-ერთი ფართო პროფილის სამკურნალო დაწესებულების დახმარებით წელიწადში ერთხელ მოაწყოს რეგიონში პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური ექსპედიცია.

12. საკუთარი სახსრებით განახორციელოს რეგიონში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი, საფუძველი ჩაუყაროს ახალმოსახლეებთან საქმიანი და საზეიმო შეხვედრების ტრადიციებს.

13. დაიცვას ნებისმიერ სახელმწიფო ინსტანციაში საშეფო სოფლების, ცალკეული კომლებისა და პიროვნებათა კანონიერი უფლებები და მოთხოვნები.

ასოციაციას შეიძლება ჰქონდეს სხვა საქველმოქმედო ამოცანებიც კონკრეტული პირობების, მოსახლეობის სურვილებისა და წინადადებათა შესაბამისად.

14. ასოციაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხს წყვეტს ასოციაციის სათათბირო.

**ასოციაცია „ჯავახეთის" სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები**

1. ასოციაცია „ჯავახეთის" უმაღლესი ორგანოა მასში გაერთიანებული ორგანიზაციების (რეგიონალური ან სხვა გაერთიანებების) წარმომადგენელთა სათათბირო.

2. სათათბიროს გადაწყვეტილება სავალდებულოა ასოციაციაში გაერთიანებული ყველა ორგანიზაციისათვის.

3. სათათბირო იკრიბება 3 თვეში ერთხელ.

4. სათათბირო ირჩევს გამგეობას — თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და გამეობის წევრებს. გამგეობის უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გამგეობასთან იქმნება სამდივნო და საბუღალტრო სამსახური.

6. ასოციაცია „ჯავახეთიდან“ გასვლის საკითხს აყენებს ცალკეული ორ-განიზაცია (რეგიონალური ან სხვა გაერთიანება), რასაც ყოველგვარი განხილ-ვის გარეშე ამტკიცებს ასოციაციის სათათბირო

7. ასოციაცია „ჯავახეთში“ გაერთიანებულ წევრებს ასოციაციის ხელ-მძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინების პირობებში აქვთ სრული ავტონომია მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრისას.

8. ასოციაცია „ჯავახეთის“ გამგეობა:

— იწვევს სათათბიროს სხდომებს;

— უზრუნველყოფს სათათბიროს გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— ქმნის სამუშაო ჯგუფებსა და დროებით მოქმედ კომისიებს;

— განაგებს ასოციაციის ფულად სახსრებს;

— აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს ასოციაციის სახელით;

— აქვეყნებს ასოციაციის საქმიანობის დაწვრილებით ანგარიშს წელი-წადში ერთხელ.

## ასოციაცია „ჯავახეთის“ იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი და სახსრები

1. ასოციაცია „ჯავახეთი“ იურიდიული პირია, აქვს ბეჭედი და სპეცია-ლური ანგარიში ბანკში.

2. ასოციაცია „ჯავახეთის“ ფულადი სახსრები შედგება მასში გაერთიანე-ბული წევრების საქველმოქმედო შენატანებისაგან. შესატანი თანხის რაოდე-ნობასა და ბანკში მისი შეტანის პერიოდულობას განსაზღვრავენ ასოციაციის წევრები.

3. ასოციაცია „ჯავახეთში“ გაერთიანებულ წევრთა საქველმოქმედო შე-ნაწირს შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე უძრავი ან მოძრავი ქონება.

4. ასოციაცია „ჯავახეთის“ წევრები ასოციაციის წინაშენაკისრ ვალდე-ბულებათა ფარგლებში ანგარიშვალდებულნი არიან გამგეობის წინაშე.

5. ასოციაცია „ჯავახეთის“ სახსრებში შედის აგრეთვე შემოსავალი ერთ-დროული საქველმოქმედო ღონისძიებებიდან, ცალკეულ პირთა და ორგა-ნიზაციათა ნებაყოფლობითი ფულადი შენაწირი ან რაიმე სხვა სახის ქონება, რომლებიც ასოციაციაში არ არიან გაერთიანებული.

6. ასოციაცია „ჯავახეთის“ სახსრები გამოიყენება ასოციაციის პროგრე-სულ ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და რეალიზა-ციისათვის.

7. ასოციაცია „ჯავახეთის“ გამგეობის, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, უსას-ყიდლოდ, მათს საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს ასო-ციაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ასოციაცია „ჯავახეთის“ საკონტროლო კომისია

1. საკონტროლო კომისიას ორი წლის ვადით ირჩევს წარმომადგენელთა სათათბირო.

2. საკონტროლო კომისიის წევრები, თავმჯდომარის ჩათვლით, არ შეიძლება ერთდროულად იყვნენ გამგეობის, სამუშაო ჯგუფისა და კომისიების წევრები.

3. საკონტროლო კომისია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაეცნოს გამგეობის დოკუმენტაციას.

4. საკონტროლო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ წარმომადგენელთა სათათბიროს წინაშე.

### ასოციაციის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან

1. ასოციაცია „ჯავახეთი“ იყენებს სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ყველა შესაძლო კანონიერ ფორმას უშუალოდ ან რუსთაველის საზოგადოების მეშვეობით.

2. ოფიციალურ სამთავრობო სამსახურებთან მუდმივი კონტაქტი და ურთიერთშეთანხმებული მოქმედება აუცილებელი პირობაა ასოციაცია „ჯავახეთის“ საპროგრამო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

3. ასოციაცია „ჯავახეთი“ ამყარებს კონკრეტულ და საქმიან ურთიერთობას რეგიონის ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან.

### ასოციაცია „ჯავახეთის“ საქმიანობის ხანგრძლივობა და ლიკვიდაციის წესი

1. პროგრამის იმ ნაწილის რეალიზაცია, რომელიც მატერიალურ მხარეს ეხება, შეწყდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჯავახეთის ახალმოსახლეები სრულიად დამოუკიდებლად შეძლებენ მეურნეობის ნორმალურ გაძღოლას.

2. ასოციაცია „ჯავახეთის“ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა უდავოა. იგი უნდა გაფართოვდეს, ტრადიციად დამკვიდრდეს და მიენიჭოს მუდმივი ხასიათი.

3. საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთი“ საქმიანობას წყვეტს ასოციაციის წარმომადგენელთა სათათბიროს გადაწყვეტილებით.

## 79 საქართველოს სახალხო ფრონტის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სახალხო ფრონტის წესდება. (თან ერთვის).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 17 აგვისტო, № 417

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახალხო ფრონტის წესდება

საქართველოს სახალხო ფრონტი (სსფ) არის საერთო-სახალხო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც აერთიანებს კეთილი ნების ადამიანებს საქართველოს სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საქართველოში დემოგრაფიული, ჰუმანური საზოგადოების შექმნის მიზნით საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

სსფ თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს საქართველოში პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპის ყოველმხრივ და საყოველთაო დაცვას, საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაფუძნებას ამ პრინციპზე.

სსფ თავის უშუალო მიზნად ისახავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის დემოკრატიზაციას ამ ეტაპზევე და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლას.

სსფ თავის მოღვაწეობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. სსფ ამ ეტაპზევე ზრუნავს იმისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს საზოგადოებრივ ინტერესებთან და საერთაშორისოდ აღიარებულ ზნეობრივ-სამართლებრივ ნორმებთან, ერთა თვითგამორკვევის უფლების ჩათვლით.

სსფ არის იურიდიული პირი. მას აქვს ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

## I. საქართველოს სახალხო ფრონტის შემადგენლობა

სსფ შესდგება:

ა) პირველადი ჯგუფებისაგან

ბ) რეგიონალური (ან უწყებრივი) სახალხო ფრონტებისაგან

გ) სსფ-ის მმართველი ორგანოებისაგან

დ) დარგობრივი კომისიებისაგან

ე) სარევიზიო კომისიებისაგან

### საქართველოს სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფი

1. სსფ-ის საყრდენია პირველადი ჯგუფი, რომელიც შედგენილია ან ტერიტორიული პრინციპით (ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის ან უბნის მაცხოვრებლები), ან უწყებრივი პრინციპით (ერთსა და იმავე დაწესებულების თანამშრომლებით), ან მხოლოდ თანამოაზრეობისა და ერთობლივი მუშაობის სურვილის საფუძველზე. პირველდი ჯგუფი კეთილი ნების ადამიანთა სავსებით ნებაყოფლობითი გაერთიანებაა.

2. პირველადი ჯგუფის წევრთა საორიენტაციო რაოდენობაა არა ნაკლებ 5 კაცისა.

3. პირველადი ჯგუფი ირჩევს თავის დელეგატს (ან დელეგატებს), რომლებიც მისი წარმომადგენლები არიან სსფ-ის ყრილობაზე. პირველადი ჯგუფის

სტრუქტურას, კონკრეტული მოქმედების გეგმას, მართვის წესს განსაზღვრავს თვითონ პირველადი ჯგუფი. ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ პირველადი ჯგუფის საერთო კრებას აქვს.

4. პირველადი ჯგუფი მონაწილეობს სსფ-ის საერთო მუშაობის დაგეგმვაში, ინფორმაციის შეგროვებისა და იმ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებაში. რასაც სსფ მიიღებს.

5. პირველად ჯგუფს, ისე, როგორც სსფ-ის ყოველ წევრს, უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი წინადადებები პროგრამისა და წესდების სრულყოფის თაობაზე.

6. ნებისმიერ პირველად ჯგუფს უფლება აქვს შეუერთდეს ნებისმიერ რეგიონალურ სახალხო ფრონტს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან გავიდეს მისი შემადგენლობიდან საკუთარი ნებით.

**რეგიონალური (ან უწყებრივი) სახალხო ფრონტი**

მსხვილ კოლექტივებს (ქალაქში, რაიონში, საწარმოსთან, უმაღლეს სასწავლებლებთან...) შეუძლიათ შექმნან რეგიონალური სახალხო ფრონტები, რომლებშიც შემადგენელ ნაწილებად იქმნებიან პირველადი ჯგუფები. რეგიონალურ სახალხო ფრონტად გაერთიანება შეუძლიათ აგრეთვე პირველად ჯგუფებს თავისუფალი თანამოაზრეობის საფუძველზე. რეგიონალური სახალხო ფრონტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მას შეუძლია ჰქონდეს სპეციალური ამოცანების შემცველი პროგრამა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სსფ-ის საერთო პროგრამასა და პრინციპებს.

პირველად ჯგუფს შეუძლია გავიდეს რეგიონალური სახალხო ფრონტიდან მოტივირების გარეშე.

რეგიონალური სახალხო ფრონტი შეიძლება შეიქმნას საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

**საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი ორგანოები**

1. სსფ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. მას იწვევენ წელიწადში ორჯერ მაინც. ყრილობა კენჭისყრით ირჩევს გამგეობას, რომელიც სსფ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობებს შორის, და სარევიზიო კომისიას. აგრეთვე სხვა კომისიებს საჭიროების მიხედვით. გამგეობის წევრობის კანდიდატურის წამომყენებელი ვალდებულია თავისი მოტივი მოახსენოს ყრილობას. ყოველი კანდიდატი მოვალეა ყრილობას მოახსენოს თავისი პლატფორმა. ყრილობის დელეგატს აქვს კანდიდატის აცილების უფლება ზეპირად ან წერილობით. წერილობითი აცილების უფლება აქვს სსფ-ის ყველა იმ წევრსაც, ვინც დელეგატი არ არის.

2. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმათა უმრავლესობა. ახალი წევრის არჩევის, აგრეთვე გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ ყრილობას. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი.

3. გამგეობის წევრს ირჩევენ ერთი წლის ვადით. იგი შეიძლება ხელახლარჩეულ იქნეს ყრილობის მიერ ვადამდეც. განმეორებითი არჩევა დასაშვებია.

4. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევს ყრილობა ექვსი თვის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ ხდება ახალი თავმჯდომარის არჩევა. თავმჯდომარე მართავს გამგეობის სხდომებს, ხსნის ყრილობებსა და კონფერენციებს. გამგეობა იკრიბება რეგულარულად. იგი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5. სსფ-ის ყრილობა იღებს სსფ-ის ძირითად დოკუმენტებს, ამტკიცებს წესდებას, პროგრამას, ქარტიას და მასში შესატან ცვლილებებს. იგი ისმენს და ამტკიცებს სსფ-ის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშებს, განსაზღვრავს სსფ-ის საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სახავს ვითარების შესატყვის ძირითად კონკრეტულ ამოცანებს და მათი გადაჭრის გზებს, იღებს დეკლარაციებს, მიმართვებს და მოწოდებებს სსფ-ის სახელით.

6. გამგეობა ქმნის და ამტკიცებს ან მხოლოდ ამტკიცებს დარგობრივ კომისიებს და იღებს გადაწყვეტილებებს ამ კომისიათა რეკომენდაციების ცხოვრებაში გატარების თაობაზე, განსაზღვრავს, რა მონაწილეობა უნდა მიიღონ წევრებმა ამ რეკომენდაციათა რეალიზაციაში.

7. გამგეობა ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე, თუ ამას მოითხოვს პირველადი ჯგუფების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი, თუ სსფ-ის წევრთა ერთი მესამედის მომცველი პირველადი ჯგუფები მოითხოვენ რიგგარეშე ყრილობას, გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს იგი ორი კვირის ვადაში.

8. გამგეობას უფლება აქვს მოიწვიოს სსფ-ის წევრთა პირველადი ჯგუფების წარმომადგენელთა საერთო ან რეგიონალური კონფერენციები (გადაწყვეტილების უფლების გარეშე) ამა თუ იმ საკითხზე აზრთა ურთიერთგაცვლის მიზნით.

## II. საქართველოს სახალხო ფრონტის წევრობა

1. სსფ-ის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც გამოთქვამს მზადყოფნას ემსახუროს ქართველი ერის სამართლიან ინტერესებს, აღიარებს სსფ-ის წესდებასა და პროგრამას, მონაწილეობს მის საქმიანობაში. ნებისმიერ წევრს, გარდა პარტიის ფუნქციონერებისა (ხელფასიანი ხელმძღვანელი თანამშრომლობისა), უფლება აქვს გამოიჩინოს ინიციატივა სსფ-ის საქმიანობის მიმართულებათა დასახვაში, კრიტიკულად შეაფასოს ფრონტის ყოველი წევრისა და ორგანოს საქმიანობა და გამოთქვას თავისი შეფასება.

2. სსფ მორალურ და სხვა სახის პასუხისმგებლობას თავისი ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების საქმიანობისათვის კისრულობს ამ უკანასკნელთა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სსფ-ის საქმიანობას განეკუთვნება. შესაბამისად, სსფ-ის ინდივიდუალური ან კოლექტიური წევრი სსფ-ის წინაშე პასუხისმგებელია თავის მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რომელიც სსფ-ის შემადგენლობაში ან სსფ-ის სახელით სრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### III. დარგობრივი კომისიები

სსფ-ის ძირითადი მუშა ორგანოებია დარგობრივი კომისიები. დარგობრივი კომისიები დგება ნებაყოფლობით, მონაწილეთა პროფილისა და ინტერესების მიხედვით. დარგობრივი კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით. დარგობრივ კომისიას უფლება აქვს თავის საქმიანობაში ჩართოს ისეთი პირებიც, რომლებიც სსფ-ის შემადგენლობაში არ შედიან. კომისია კოორდინაციას უწევს პირველადი ჯგუფის მუშაობას შესაბამის დარგში. გამგეობას უფლება აქვს, დაავალოს დარგობრივ **კომისიას** ამა თუ იმ საკითხის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება. დარგობრივი კომისიები პერიოდულად აწყობენ მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვას. განხილვაში მონაწილეობს სსფ-ის ყველა წევრი, ვისაც სურვილი აქვს. დასაშვებია ამგვარი განხილვების საჯაროდ მოწყობაც.

### IV. საქართველოს სახალხო ფრონტის სახსრები

სსფ-ის ფულადი სახსრების წყაროა წევრთა და გარეშე პირთა ან ორგანიზაციათა შემოწირულობები, საწევრო გადასახადი, რომლის რაოდენობასაც ადგენს გამგეობა, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლები. სსფ-ის სახსრებს განაგებს ყრილობა, ყრილობებს შორის — გამგეობა. ყველა საკითხი, რაც ფულად სახსრებს შეეხება, გადაწყდება ყრილობის მიერ არჩეული და ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებული სარევიზიო კომისიის მეთვალყურეობით. სსფ-ის სახსრები გამოიყენება თანამშრომლების დაქირავებისათვის, ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და სხვა მიზნებისათვის სსფ-ის ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილების შესაბამისად.

### V. საქართველოს სახალხო ფრონტის ადგილსამყოფელი

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. პირველადი ჯგუფებისა და რეგიონალური ფრონტების ადგილსამყოფელია შესაბამისი პუნქტები, აგრეთვე საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ მდებარე პუნქტები.

### VI. საქართველოს სახალხო ფრონტის სიმბოლიკა

სსფ-ს აქვს თავისი სიმბოლიკა (დროშა, გერბი), რომელსაც ამტკიცებს ყრილობა. სიმბოლიკა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ სსფ-ის გამგეობის ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. საქართველოს სახალხო ფრონტის ლიკვიდაცია

სსფ-ის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ყრილობის დელეგატთა ხმების ორი მესამედის გადაწყვეტილებით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

## 80 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „სამეცნიერო კულტურის საერთაშორისო ცენტრი — მსოფლიო ლაბორატორია“ სსრ კავშირის განყოფილების ფილიალის — სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამეცნიერო კულტურის საერთაშორისო ცენტრი — მსოფლიო ლაბორატორია“ სსრ კავშირის განყოფილების წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ქალაქ თბილისში მისი ფილიალი — სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც განახორციელებს საქმიანობას სსრ კავშირის, საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 16 ივნისის № 486 დადგენილებით დამტკიცებული მსოფლიო ლაბორატორიის სსრ კავშირის განყოფილების დებულებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დებულების შესაბამისად.

2. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელობის ყურადღება მიექცეს იმას, რომ საქართველოს სსრ მთავრობა დაინტერესებულია უპირატესად გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

— სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ალტერნატიულ პროგნოზულ შეფასებათა შემუშავება;

— რესპუბლიკაში ეკოლოგიური სიტუაციის საექსპერტო შეფასებათა და მისი გაუმჯობესების გზების შემუშავება;

— რესპუბლიკაში დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი და მისი გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება;

— განათლებისა და მეცნიერული კვლევის პროცესთა კომპიუტერიზაცია;

— ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მასალების შექმნა;

— რესპუბლიკის როლის გაძლიერება საერთაშორისო პროგრამებით გათვალისწინებულ შრომის საერთაშორისო განაწილების კოლექტიურ შედეგებში;

— რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის ზიარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ფასეულობებთან, მისი ზნეობრივი და პროფესიული სრულყოფა.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მსოფლიო ლაბორატორიის სსრ კავშირის განყოფილების პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დებულების შესაბამისად აღნიშნული ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს საერთაშორისო ორგანიზაციის დაწესებულების სტატუსით.

4. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს ნება ეძლევათ ჩარიცხონ ფულადი სახსრები შესატანების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხით სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ანგარიშებზე, მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის ხელშეწყობის მიზნით.

5. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში ხელშეწყობის მიზნით აღნიშნულ ცენტრს გაეწიოს პერიოდული ფინანსური მხარდაჭერა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან საერთაშორისო ორგანიზაციაში შესატანების სახით.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში გამოუყოს აღნიშნულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრს სამუშაო ფართობი ქალაქის სარეკონსტრუქციო ზონაში და ტერიტორია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შენობის ასაგებად მსოფლიო ლაბორატორიის სსრ კავშირის განყოფილებასთან შეთანხმებული პირობებით.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ გაითვალისწინოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის მომსახურება მსუბუქი ავტოტრანსპორტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 434

## 81 საქართველოს ასპირანტთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ასპირანტთა კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 437

დამტკიცებულია დამფუძნებელი ყრილობის მიერ 1989 წ. 19. 04.

რეგისტრირებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 30 აგვისტოს № 437 დადგენილებით

# საქართველოს ასპირანტთა კავშირის წესდება

## I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ასპირანტთა კავშირი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

2. კავშირი ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს ყველა ასპირანტს (მაძიებელს) ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებას.

3. კავშირი არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება და დამოუკიდებელი ბალანსი, გახსნილი აქვს საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში (კონკრეტულად). გააჩნია მრგვალი ბეჭედი და შტამპი საკუთარი დასახელებითა და ადგილსამყოფელის აღნიშვნით. აგრეთვე აქვს ემბლემა და სამკერდე ნიშანი.

4. კავშირი პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისათვის, მის განმგებლობაშია არსებული ქონება, რომელზეც კანონმდებლობით შეიძლება მიმართულ იქნეს სასამართლო სანქცია.

კავშირი პასუხს აგებს თავისი წევრების, სპონსორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებისათვის.

## II. კავშირის მიზნები და ძირითადი ამოცანები

1. კავშირი მიზნად ისახავს:

— ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური ეროვნული სამეცნიერო კადრების ჩამოყალიბებას;

—ეროვნული პრობლემების განხილვა-დამუშავებასა და გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას;

— საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეროვნული შეგნების ასამაღლებლად.

2. დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის კავშირი:

ილვწის ასპირანტთა მომზადების ხარისხის ასამაღლებლად, იცავს კავშირის წევრთა უფლებებსა და ინტერესებს;

— ზრუნავს ასპირანტთა სამუშაოზე მოწყობისათვის;

— კავშირს ამყარებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ასპირანტებთან და მაძიებლებთან და კოორდინაციას უწევს მათს საქმიანობას, ზრუნავს მათი საქართველოში დაბრუნებისა და სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის;

— იბრძვის უმაღლეს სასწავლებელთათვის ავტონომიური სტატუსის რეალური მოპოვებისათვის;

— ებმება ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო-სასწავლო პროცესში (ქვემო ქართლი);

ბიბლიოთეკა

—იბრძვის საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის რეალური განხორციელებისათვის;

— სწავლობს საზოგადოებრივ აზრს პრობლემურ ეროვნულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და ა .შ. საკითხებზე.

3. კავშირის საქმიანობა ემყარება სრულ თვითმმართველობასა და მისი წევრების ნებაყოფლობით მონაწილეობას სრული დემოკრატიის პირობებში.

### III. კავშირის უფლებები

თავისი საქმიანობის წასამართავად კავშირს აქვს შემდეგი უფლებები:

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში შედის წინადადებით იმ საკითხების გამო, რომლებიც გამომდინარეობენ კავშირის წესდებიდან;

2. ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან;

3. სახელშეკრულებო საქმიანობის საფუძველზე მიღებული ყოველგვარი შემოსავალი რჩება კავშირის გამგებლობაში;

4. ასპირანტთა განაწილება-დასაქმების საკითხების გადასაწყვეტად თანამშრომლობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სახალხო განათლების სამინისტროსთან, უმაღლეს სასწავლებლებთან.

### IV. კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთდამოკიდებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ქმნის კავშირის მრჩეველთა საბჭოს, რომელიც თავის რეკომენდაციებს წარუდგენს კავშირის ყრილობას ან საბჭოს.

მრჩეველთა საბჭოს წევრები ესწრებიან კავშირის ყრილობასა და საბჭოს სხდომებს და მონაწილეობენ მათ მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

### V. ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან

კავშირი საწესდებო და საპროგრამო ამოცანების განხორციელების მიზნით ამყარებს ურთიერთობას სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან,

თანამშრომლობს მათთან ურთიერთსასარგებლო საკითხების გადასაწყვეტად,

ატარებს ერთობლივ ღონისძიებებს.

### VI. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობები

1. კავშირი ემყარება დემოკრატიულობისა და ნებაყოფლობის პრინციპს და აერთიანებს ინდივიდუალურ წევრებს — ასპირანტებსა და მაძიებლებს.

მუხ. 81
ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კავშირის წევრს უფლება აქვს:

აირჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

შეკითხვის წესით კავშირის ხელმძღვანელ ორგანოში დასვას ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეეხება კავშირის წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

მონაწილეობა მიიღოს ყრილობაზე გამოტანილ დოკუმენტთა კენჭისყრაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

კავშირის შიგნით გაერთიანდეს სექციებში სპეციალობისა და ინტერესების შესაბამისად.

მიმართოს კავშირს თავისი უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების შესაბამისად.

მიაწოდოს და მისგან მიიღოს ნებისმიერი სახის ობიექტური ინფორმაცია.

მიმართოს კავშირს აგრეთვე სხვა დახმარებისათვის.

ხელმძღვანელი ორგანოების ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე გავიდეს კავშირიდან.

გადაიხადოს წესდებით დადგენილი საწევრო გადასახადი.

3. კავშირის წევრად მიღება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე.

## VII. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველი ორგანოები

1. კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა — კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ორჯერ. რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა საბჭოს ან კავშირის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

2. კავშირის წევრების ყრილობაზე მოწვევა ხდება წერილობით, კავშირის საბჭოს მიერ ყრილობის მოწვევამდე ერთი თვით ადრე.

3. ყრილობის უფლებამოსილება:

ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე.

ყრილობის განსაკუთრებულ უფლებამოსილებაში შედის:

— წესდებისა და პროგრამის მიღება, მასში შესწორებებისა და დამატებების შეტანა-დამტკიცება;

— კავშირის საბჭოს, საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის, სარევიზიო კომისიის არჩევა;

— კავშირის საქმიანობის განმსაზღვრელი აქტების მიღება;

— კავშირის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;

— კავშირის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბიბლიოთეკა

— კავშირის შესვლა ან გასვლა საკავშირო თუ საერთაშორისო ახალ-გაზრდულ ორგანიზაციებიდან;

— კავშირის საქმიანობის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა, სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნა.

4. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კავშირის წევრთა 2/3 მაინც.

5. ყრილობაზე გამოტანილი საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება წესდებისა და პროგრამის ცვლილებებს, კავშირის არსებობის შეწყვეტის საკითხს, წყდება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით.

6. კავშირის მუდმივმოქმედი მაკოორდინებელი ორგანოა კავშირის საბჭო, რომელსაც 15/. . . 1 კაცის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა 1 წლის ვადით.

7. კავშირის საბჭო:

— წარმართავს კავშირის საქმიანობას საწესდებო და საპროგრამო ამოცანების განსახორციელებლად;

— ქმნის საგანმანათლებლო, სამართლებრივ, სოციოლოგიურ, საინფორმაციო-საორგანიზაციო, სამეცნიერო და სხვა სექციებს;

— განაგებს კავშირის მატერიალურ სახსრებს;

— ადგენს და ამტკიცებს კავშირის ბალანსს;

— დებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან;

— წყვეტს კავშირის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

8. კავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვლება ძალამოსილად, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს წევრთა 2/3 მაინც. ყველა საკითხი წყდება ხმების უმრავლესობით.

9. კავშირის საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ერთი წლის ვადით ირჩევს ყრილობა ხმების უბრალო უმრავლესობით ფარული კენჭისყრით.

10. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე:

— თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;

— წარმოადგენს კავშირს საქართველოში, საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ;

— ხელს აწერს საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

11. კავშირის საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას მოადგილე.

12. საბჭოს ყოველწლიური ანგარიშების, კავშირის სალაროსა და ქონების შესამოწმებლად, აგრეთვე აღრიცხვისა და საქმის წარმოების რევიზიისათვის ყრილობა ქმნის სარევიზიო კომისიას. კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საბჭოს წევრები.

## VIII. კავშირის ფინანსური საშუალებები

1. კავშირის ფინანსებს შეადგენს:

— კავშირის წევრთა საწევრო შენატანი. (წელიწადში 12 (თუ 24) მანეთი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სპონსორთა შენატანები;

— ნებაყოფლობითი შემოწირულობანი;

— სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

2. საწევრო გადასახადი შეიტანება წელიწადში ორჯერ — ივნისსა და დეკემბერში.

3. კავშირს სახელმწიფო ბანკში გახსნილი აქვს საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიში.

4. ყოველი წლის დასაწყისში დგება კავშირის ბალანსი. საოპერაციო წელი იწყება პირველი იანვრიდან.

5. კავშირის ფინანსური საშუალებანი ნაწილდება ყრილობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

## 82 რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ყოველწლიური გამოყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური ურთიერთობის ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალი მიდგომის განხორციელების მიზნით, რაც ემყარება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის, გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსებისას სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ყოველწლიური გამოყოფის შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩიტანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 440

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 30 აგვისტოს № 440 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუსხა

## საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 მარტის № 150 დადგენილებისა „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საკითხები“.

2. მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 ივნისის № 341 დადგენილებისა „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის № 525 დადგენილება „საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ღონისძიებებისათვის ასიგნებათა გაზრდის შესახებ“.

4. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 ივლისის № 518 დადგენილებისა „რესპუბლიკაში შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 22 თებერვლის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“.

5. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილებისა „ბავშვთა და მოზარდთა მუსიკის კვირეულის შესახებ“.

6. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 21 მარტის № 224 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

7. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 მარტის № 130 დადგენილებისა „შიო მღვიმელის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაწესების შესახებ“.

8. მე-11 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილებისა „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ“.

9. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 17 ოქტომბრის №648 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

10. 1-ლი პუნქტი და № 2 დანართი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 284 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და მისი მუშაკების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

11. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 ივლისის № 437 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვიდეომაგნიტოფონის კასეტების გაქირავებისა და ვიდეომაგნიტოფონური პროგრამების დემონსტრაციის ორგანიზაციისა და განვითარების შესახებ".

12. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 20 თებერვლის № 51 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კურორტებზე რესპუბლიკის ბავშვთა მკურნალობისა და დასვენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

13. მე-12 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მაისის № 266 დადგენილებისა „რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

14. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 511 დადგენილებისა „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს 3-კილომეტრიან ზონაში მიწებისა და შენობა-ნაგებობათა ინვენტარიზაციის შესახებ".

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 სექტემბრის № 1166 განკარგულების მესამე აბზაცი.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 იანვრის № 55 განკარგულება.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 აპრილის № 412 განკარგულების მე-5 პუნქტი.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 22 მაისის № 534 განკარგულება.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 ივლისის № 951 განკარგულების მე-4 პუნქტი.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აგვისტოს № 1186 განკარგულება.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 აპრილის № 526 განკარგულების მე-4 პუნქტი.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 ნოემბრის № 1575 განკარგულების 1-ლი პუნქტი.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 მარტის № 369 განკარგულების მეორე აბზაცი.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 29 მარტის № 381 განკარგულება.

25 .საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 აპრილის № 462 განკარგულების მე-4 პუნქტი.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 ოქტომბრის № 1352 განკარგულება.

ბიბლიოთეკა

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 ოქტომბრის № 1424 განკარგულების მე-3 პუნქტი.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 15 დეკემბრის № 1731 განკარგულების მესამე აბზაცი.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 იანვრის № 7 გს განკარგულება.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 7 მაისის № 509 განკარგულების მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 დეკემბრის № 1778 განკარგულების მე-4 პუნქტი.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 52გს განკარგულება.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 სექტემბრის № 1068 განკარგულება.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 3 დეკემბრის № 1354 განკარგულების 1-ლი პუნქტი.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 9 მარტის № 197 განკარგულების მე-2 პუნქტი.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 ივნისის № 639 განკარგულება.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 23 ოქტომბრის № 1131 განკარგულება.

38. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 იანვრის № 12 დადგენილებისა „პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ".

39. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 მარტის № 120 დადგენილებისა „საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საუწყებათაშორისო რესპუბლიკური ფაკულტეტის შექმნის შესახებ".

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 აპრილის № 33გს განკარგულება.

41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 მაისის № 494 განკარგულების 1ლი პუნქტი.

42. მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 ივნისის № 345 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის ნაპირის დაცვის გენერალური სქემის დამტკიცების და წარეცხვისა და ნგრევისაგან სანაპიროსა და მდინარეთა ხეობების დაცვის სამუშაოთა გაფართოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 ივლისის № 349 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სასამართლოების, იუსტიციის სხვა ორგანოებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 23 აგვისტოს № 777 განკარგულების მე-2 პუნქტი.

45. მე-9 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 დეკემბრის № 660 დადგენილებისა „მეთორმეტე ხუთწლედსა და 2000 წლამდე პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკაში ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოთა შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 9 იანვრის № 6 განკარგულების 1-ლი პუნქტი.

47. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ივნისის № 276 დადგენილებისა „საქართველოს საავტორო უფლებათა რესპუბლიკური სააგენტოს მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ".

48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 ივნისის № 480 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

## 83 ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის დ. ი. ყიფიანის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ხაშურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს აღნიშნული რაიონის სოფელ ქვიშხეთის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 441

## 84 ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. ს. გვარჯალაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ოზურგეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს აღნიშნული რაიონის სოფელ შემოქმედის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას პროფესორ ისიდორე სილოვანის ძე გვარჯალაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 442

ეროვნული

## 85 საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და მატერიალური ბაზის შექმნის შესახებ

**საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის მიერ 1989 წლის 12 ივნისს მიღებული კავშირის წარმოდგენილი წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 აგვისტო, № 445

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
**1989 წლის 30 აგვისტოს № 445**
**დადგენილებით**

## საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის

## წ ე ს დ ე ბ ა

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირი*) წარმოადგენს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს პროფესიულ იურისტებს.

კავშირის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობა, დემოკრატიისა და კოლეგიალობის პრინციპები, წევრთა ფართო ინიციატივა, მათი პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

2. კავშირი თავის ფუნქციებს ახორციელებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე, საჯაროობის პირობებში და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

3. კავშირი არის იურიდიული პირი, წარმომადგენლობს და იცავს თავის წევრთა ინტერესებს სახელმწიფოებრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკში, ემბლემა, მრგვალი გერბიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების იურისტთა კავშირები.

4. რესპუბლიკური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

### II. საქართველოს იურისტთა კავშირის მიზნები და მუშაობის ფორმები

5. კავშირის უმთავრესი მიზანია მთელი ძალისხმევა მოახმაროს გარდაქმნის კურსისადმი რესპუბლიკის იურისტთა აქტიურ მხარდაჭერას, უზრუნველყოს კავშირის წევრთა ფართო მონაწილეობა საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება-სრულყოფაში, ხელი შეუწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საქართველოს სუვერენულ უფლებათა რეალიზაციას, ეროვნულ სამართალშემოქმედებით განვითარებას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა კანონიერი ინტერესების დაცვას.

ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირი ატარებს ღონისძიებებს სხვადასხვა სფეროში მომუშავე იურისტების თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხელს უწყობს იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკი-

---

* შემდგომში „იურისტთა კავშირი“ მოხსენებული იქნება „კავშირად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებას, ღებულობს ზომებს თავის წევრთა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის სრულყოფისათვის, ზრუნავს, რათა ყველა იურისტმა განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, მონაწილეობს სამართალდამცავი და სხვა იურიდიული ორგანიზაციების კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმეში.

6. კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო იურიდიული სწავლების ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდასა და განმარტებაში, იურიდიული განათლების სისტემის სრულყოფაში, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განმტკიცებაში, დაეხმაროს ფართო საზოგადოებრიობას სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებით იბრძოლოს დამნაშავეობის წინააღმდეგ.

7. კავშირის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა აამაღლოს იურიდიულ პროფესიათა პრესტიჟი, გააუმჯობესოს თავის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, ხელი შეუწყოს იურისტთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, სოციალურ სამართლებრივ დაცვას, აგრეთვე მათ მიერ პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

8. კავშირი სამართალდაცვით ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიანობას, ავლენს პრაქტიკაში მათი გამოყენების ნაკლოვანებებს, მხარს უჭერს ახალ, პროგრესულ სამართალშემოქმედებითი პროცესის გაფართოებას, კანონმდებლობის სრულყოფას.

9. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 108-ე მუხლის შესაბამისად კავშირი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, შედის წინადადებებით სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კანონმდებლობისა და იურიდიული პრაქტიკის სრულყოფის, აგრეთვე იურისტთა ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

10. კავშირი ამყარებს კონტაქტებს მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალისტური და საზღვარგარეთის ქვეყნების იურისტთა კავშირებთან და გაერთიანებებთან, ეცნობა მათი საქმიანობის გამოცდილებას, ახორციელებს დელეგაციებისა და ინფორმაციის გაცვლას. აწყობს წევრების პროფესიულ და სხვა მოგზაურობებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

11. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად კავშირი:

ა. თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა შემოქმედებით კავშირებთან;

ბ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს სახალხო დეპუტატთა არჩევნებში, ამ მიზნით წარადგენს ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში ასარჩევ დეპუტატთა კანდიდატებს;

გ. დამოუკიდებლად ან სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, კოლოკვიუმებს, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებს;

დ. აწესებს პრემიებს სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ახალისებს თავის წევრებს კავშირში აქტიური მუშაობისათვის, აგრეთვე მეც-

ნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევებისათვის, შეაქვს სახელ-მწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში წინადადებები პრემიებზე, ჯილდო-ებზე და საპატიო წოდებებზე მათ წარსადგენად;

ე. ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აქვს თავისი ბეჭდვითი ორგა-ნო — ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“;

ვ. პატრონობს სოციალურ და კულტურულ ობიექტებს, აყალიბებს სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს სახელშეკრულებო საწყისებზე, ახორციელებს ღონისძიებებს კავშირის წევრთა იურიდიული ლიტერატურით უზრუნველსაყო-ფად;

ზ. რესპუბლიკის საზოგადოებრიობას პერიოდულად აწვდის ინფორმა-ციას თავისი საქმიანობის შესახებ;

თ. ქმნის იურისტთა კავშირის ფონდს.

### III. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის წევრები,

### მათი უფლება-მოვალეობანი

12. კავშირი შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

13. კავშირის ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს პროფესიულად იურიდიული საქმიანობით დაკავებული პირი, რაც შესაბამის იურიდიულ გა-ნათლებას ან პრაქტიკულ მომზადებას მოითხოვს, სწავლული იურისტები და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სამართ-ლებრივი დისციპლინების მასწავლებლები, რომლებიც ცნობენ წესდებას და აქტიურად მონაწილეობენ პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

14. კავშირის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ ასოციაციები, იურისტთა სხვა გაერთიანებები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც მონაწი-ლეობენ ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტაში და დაინტე-რესებული არიან კავშირის საქმიანობის განვითარებით.

15. კავშირთან ნებაყოფლობით შეიძლება შეიქმნას მოსწავლე იურისტთა გაერთიანება.

16. კავშირის ინდივიდუალურ წევრად მიღება წარმოებს კავშირის პირ-ველადი ორგანიზაციის მიერ, შემსვლელი წარადგენს განცხადებას პირველად ორგანიზაციაში, რომელიც განიხილება შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტმა.

17. კავშირის წევრებს ეძლევათ წევრობის ბილეთი.

18. კავშირის კოლექტიურ წევრებად მიღება წარმოებს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი კავშირის მიერ;

— კავშირის კოლექტიურ წევრად ასოციაციის (გაერთიანების) შესვლას თან ახლავს მასში შემავალ იურისტთა კავშირის ინდივიდუალურ წევრად შეს-ვლის მოვალეობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა. მონაწილეობა მიიღოს კავშირის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში;

ბ. კავშირის ყველა ორგანოში შეიტანოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებანი;

გ. მონაწილეობა მიიღოს კავშირის ორგანოების ფორმირებასა და არჩეულ იქნეს მათ შემადგენლობაში;

დ. ისარგებლოს კავშირის სპეციალური და კულტურული ფონდებით, აგრეთვე მის მიერ დაწესებული შეღავათებით;

ე. მოითხოვოს პირადი მონაწილეობა მათ მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საკითხის განხილვისას, კავშირის კომპეტენტურ ორგანოებში შეიტანოს საჩივრები და თავისი მოსაზრებანი;

ვ. წარდგენილ იქნეს კავშირის ჯილდოზე ან წახალისებაზე კავშირში აქტიური მუშაობისა და შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

20. კავშირის წევრი მოვალეა:

ა. აქტიურად მონაწილეობდეს პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებაში იმ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასახეს კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა;

ბ. იცხოვროს საბჭოთა იურისტის ღირსეული ცხოვრების წესით, განუწყვეტლივ აიმაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონე;

გ. დაიცვას კავშირის წესდების მოთხოვნები და პროფესიული ეთიკის ნორმები;

დ. დროულად შეიტანოს შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო გადასახადი.

21. საწესდებო მოვალეობათა დარღვევისათვის კავშირის წევრს პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებამ შეიძლება დააკისროს შემდეგი სასჯელი: გაკიცხვა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, კავშირის წევრობიდან გარიცხვა ან ამორიცხვა.

სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გადაცდომის და იურისტის ბრალის ხარისხის გულმოდგინე განსჯა.

სასჯელის მოხსნა შეუძლია მის დამდებ ორგანოს.

22. კავშირის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

— კავშირიდან საკუთარი სურვილით გასვლისას;

— გარიცხვა-ამორიცხვისას.

23. კავშირის წევრი, რომელიც სისტემატურად არ იცავს წესდების მოთხოვნებს, ჩაიდინა კავშირის წევრის პატივისა და ღირსების შემლახველი ანტისაზოგადოებრივი ან ამორალური გადაცდომა, ანდა უმიზეზოდ არ იხდის საწევრო გადასახადს და არ ფარავს დავალიანებას, პირველადმა ორგანიზაციამ შეიძლება გარიცხოს ან ამორიცხოს კავშირის წევრთა რიგებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პირველადი ორგანიზაციის წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან ერთი თვის მანძილზე კავშირის შესაბამის ზემდგომ ორგანოში.

24. კავშირის ცენტრალურ ორგანოთა წევრების დისციპლინურ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავს პროფესიული ეთიკის კომისია. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა მისი წევრების არანაკლებ ორმა მესამედმა. ამ კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კავშირის პრეზიდიუმში.

## IV. საქართველოს იურისტთა კავშირის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

25. კავშირი აერთიანებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირებს, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს.

26. კავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია.

კავშირის პირველადი ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიული ან პროფესიული პრინციპის მიხედვით, თუ ის აერთიანებს კავშირის არანაკლებ სამ წევრს.

პირველადი ორგანიზაცია თავისი შექმნის შესახებ აცნობებს კავშირის ზემდგომ ორგანოს.

27. კავშირის პირველადი ორგანიზაცია:

ა. ახორციელებს საქმიანობას თავის კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

ბ. ღებულობს კავშირის წევრებს;

გ. რიცხავს კავშირის წევრობიდან;

დ. რეკომენდაციას აძლევს თავის წევრებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობაში წამოსაყენებლად;

ე. შეიტანს კავშირის ზემდგომ ორგანოებში წინადადებებს თავის წევრთა სახელმწიფო პრემიებზე, საპატიო წოდებებზე, აგრეთვე კავშირის ჯილდოებსა და წახალისებებზე წარდგენის შესახებ მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევების, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში წარმატებებისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

28. პირველადი ორგანიზაციები კავშირში შედიან რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კავშირების მეშვეობით.

29. იურიდიულ დაწესებულებებში, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში შექმნილი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც არანაკლებ 100 კაცს ითვლიან, რაიონული განყოფილების უფლებებით სარგებლობენ.

30. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის იურისტთა

კავშირებს და გაერთიანებებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დააწესონ თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურა, ჰქონდეთ ამ წესდების გათვალისწინებით შემუშავებული დებულება.

31. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ:

ყრილობა,

გამგეობა,

პრეზიდიუმი,

სარევიზიო კომისია,

პროფესიული ეთიკის კომისია.

32. კავშირის ზემდგომი ორგანოების დადგენილებები სავალდებულოა მისი ყველა ორგანიზაციისათვის.

33. კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ყრილობა, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ.

მორიგი ყრილობის მოწვევა და მასზე განსახილველი საკითხები კავშირის გამგეობის მიერ ცხადდება ყრილობამდე არაუგვიანეს 4 თვისა.

რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს:

კავშირის თავმჯდომარის წინადადებით

გამგეობის გადაწყვეტილებით

სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

კავშირის წევრთა არანაკლებ 10 პროცენტის მოთხოვნით რიგგარეშე ყრილობები მოიწვევა ორთვიან ვადაში.

34. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობაზე წარმომადგენლობისა და დელეგატთა არჩევის წესის ნორმებს ადგენს კავშირის გამგეობა.

35. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობა:

ა. ფარული ან ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარეს ხუთი წლის ვადით, არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ;

ბ. განიხილავს კავშირის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმდინარე და პერსპექტიულ საკითხებს;

გ. ამტკიცებს კავშირის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი (გადაწყვეტილებები კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიიღება კენჭისყრით ყრილობის დელეგატთა ორი მესამედის უმრავლესობით);

დ. ამტკიცებს ანგარიშებს კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ;

ე. ადგენს რიცხობრივ შემადგენლობას და ირჩევს გამგეობას, სარევიზიო და პროფესიული ეთიკის კომისიებს;

ვ. ყრილობას უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, რომლებიც ეხება კავშირის ორგანიზაციასა და საქმიანობას;

ზ. ყრილობის გადაწყვეტილებები კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის საკითხებზე მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, დამსწრე დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და პროფესიული ეთიკის კომისი-ის შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც ხმის უმრავლესობა მიიღეს.

**37. საზოგადოების სამართლებრივი განვითარებისა და კავშირის საქმია-**ნობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად ყრილობებს შორის პერიოდში შეიძლება მოწვეულ იქნეს იურისტთა რესპუბლიკური კონ-ფერენცია. გადაწყვეტილება კონფერენციის მოწვევის შესახებ მიიღება კავ-შირის გამგეობის მიერ.

რესპუბლიკური კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნეს მისი ჩატარების შე-სახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, კონფერენცია-ზე წარმომადგენლობის ნორმებს ადგენს კავშირის გამგეობა.

38. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს კავშირის გამგეობა.

გამგეობის პლენუმები მოიწვევა აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ არა-ნაკლებ ორჯერ წელიწადში.

39. კავშირის გამგეობა:

ა. ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოად-გილეებს და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქტორს;

ბ. ირჩევს პრეზიდიუმს და ყოველწლიურად ისმენს ანგარიშებს მისი საქმიანობის შესახებ;

გ. განსაზღვრავს კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზა-ციის გზებს;

დ. კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტო-ნომიური ოლქის კავშირების საქმიანობას;

ე. ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს, პროფესიულ სექციებს, სხვა ჯგუფებს გამგეობის წევრთაგან, აგრეთვე იურიდიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ კავ-შირის წინაშე დასახული მიზნების მიღწევას;

ვ. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალურ ორგა-ნოებში შეაქვს საზოგადოების სამართლებრივ განვითარებასთან, აგრეთვე კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებები;

ზ. ამტკიცებს კავშირის წლიურ ბიუჯეტს, იმუშავებს ძირითად ღო-ნისძიებათა გეგმებს, მრავალწლიან და კომპლექსურ პროგრამებს;

თ. ამტკიცებს საქართველოს იურისტთა კავშირის ფონდის წესდებას.

40. კავშირის პრეზიდიუმი:

ა. უზრუნველყოფს ყრილობების, გამგეობის პლენუმების, მისი მუდმივმოქმედი კომისიების, სექციების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ. ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე მუშაობას და პრეზიდიუმ-თან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობას;

გ. ამტკიცებს კავშირის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. აგზავნის კავშირის წარმომადგენლებს საკავშირო და რესპუბლიკურ უწყებებსა და დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ინფორმაციის საშუალებათა ორგანოებში და ისმენს ანგარიშს მათი იქ საქმიანობის შედეგების შესახებ;

ე. ამზადებს მასალებს გამგეობის პლენუმებსა და კავშირის ყრილობებზე განსახილველად;

ვ. ამტკიცებს წარდგინებებს სახელმწიფო პრემიების, ჯილდოებისა და საპატიო წოდებათა მისანიჭებლად, იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ჯილდოებისა და წახალისებათა შესახებ;

ზ. გამოყოფს სახსრებს კავშირის ორგანიზაციული და შემოქმედებითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

41. პრეზიდიუმის არჩევნებიდან ორი-სამი წლის გასვლის შემდეგ გამგეობის პლენუმი განიხილავს საკითხს თავისი წევრების პრაქტიკული საქმიანობის შედეგების შესახებ და წყვეტს იმათი გადარჩევის საკითხს, ვინც კავშირის საზოგადოებრივ საქმიანობაში თავი ვერ გამოიჩინა.

42. საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე:

ა. ახორციელებს კავშირის საერთო ხელმძღვანელობას, ყრილობის, კონფერენციის, გამგეობისა და პრეზიდიუმის მიერ განსახილველი საკითხების მომზადებას. გამგეობის პლენუმის, პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში წარმართავს მიმდინარე საქმიანობას;

ბ. წარმომადგენლობს იურისტთა კავშირს ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

გ. კავშირის სახელით ხელს აწერს დოკუმენტებს, იღებს ვალდებულებებს;

დ. იწვევს გამგეობის პლენუმს, პრეზიდიუმს და წარმართავს მათ სხდომებს;

ე. ასრულებს ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა რწმუნებებს.

43. კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა. აკონტროლებს კავშირის წესდების, ყრილობის, გამგეობის პლენუმების, პრეზიდიუმების გადაწყვეტილებების, აგრეთვე კავშირის ძირითად ღონისძიებათა გეგმების შესრულებას;

ბ. აკონტროლებს კავშირის ფონდების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს ბიუჯეტის შესრულების სისწორეს;

გ. ატარებს კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის გეგმურ რევიზიებსა და შემოწმებებს;

დ. აკონტროლებს კავშირის ორგანოებში, აგრეთვე მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში საქმეთა მოძრაობის დროულობას;

ე. ამოწმებს კავშირის მისამართზე შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დროულად განხილვასა და სისწორეს;

ვ. მეთოდურ დახმარებას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირის, აგრეთვე ადგილობრივი ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. პროფესიული ეთიკის კომისია:

ა. იხილავს აპელაციებს კავშირში მიღების, გარიცხვა-ამორიცხვის საკითხებზე, არკვევს იურისტთა საჩივრებს, განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე კავშირის ორგანიზაციებს ატყობინებს თავისი გადაწყვეტილებებსა და წინადადებებს;

ბ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწყობს კონსულტაციებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

45. გამგეობისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი ეცნობება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს და იურიდიულ საზოგადოებას კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებათა მეშვეობით.

46. კავშირის წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ერთსა და იმავე ხელმძღვანელ ორგანოში ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

47. რესპუბლიკური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები არ შეიძლება იყვნენ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში ერთ მესამედზე მეტი.

### V. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ფინანსები და ქონება

48. კავშირის წევრად მიღებულ პირებს შეაქვთ საწევრო შესატანი 10 მანეთის ოდენობით და ყოველწლიური საწევრო შესატანი 12 მანეთის ოდენობით.

პენსიონერები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან, ხოლო მომუშავე პენსიონერები საწევრო გადასახადს იხდიან 50 პროცენტის ოდენობით.

კოლექტიურ წევრთა საწევრო შესატანი დგინდება კავშირის გამგეობის მიერ მათთან შეთანხმებით.

49. კავშირის ფულადი სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

ა. კავშირის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანები;

ბ. წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შედეგად შემოსული თანხები.

გ. კავშირს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან მიღებული გადანარიცხები;

დ. შემოსავლები ბეჭდვითი საქმიანობიდან;

ე. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული სხვა შემოსავლები.

50. კავშირის განმგებლობაშია იურისტთა ცენტრალური სახლი, რომელიც კავშირის წევრთა კლუბს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 აგვისტოს № 445
დადგენილების დანართი № 1

## საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები

| სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობების დასახელება | საშტატო ერთეული | ხელფასი მანეთი |
|---|---|---|
| თავმჯდომარე | 1 | 250 |
| თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 230 |
| თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 230 |
| სწავლული მდივანი | 1 | 190 |
| მთავარი ბუღალტერი | 1 | 190 |
| უფროსი კონსულტანტი | 1 | 170 |
| უფროსი კონსულტანტი | 1 | 170 |
| უფროსი კონსულტანტი | 1 | 170 |
| მდივან-სტენოგრაფისტი | 1 | 95 |
| მძღოლი | 1 | 135 |
| სულ | 10 | 1830 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული

51. კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს ყრილობის გადაწყვეტილე-ბით. კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი სახსრები და ქონება ყრილობის გადაწყვეტილებით გადაეცემა სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 აგვისტოს № [illegible]
დადგენილების დანართი № 2

## საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის შემოსავლების გაანგარიშება

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის წევრთა ერთჯერადი პირველადი საწევრო შესატანი (6000 წევრი×10 მანეთი პირველადი საწევრო შესატანი — 60000 მანეთი) | 60,0 ათასი მანეთი |
| საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის წევრთა ყოველწლიური საწევრო შესატანი (6000 წევრი × 12 მანეთი ყოველწლიური საწევრო შესატანი — 72000 მანეთი) | 72,0 ათასი მანეთი |
| კოლექტიურ წევრთაგან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი (10 ხაწარმოო კოლექტივი × თითოეული კოლექტივიდან 1000 მანეთი — 10000 მანეთი) | 10,0 ათასი მანეთი |
| ბეჭდვითი საქმიანობის ყოველწლიური შემოსავალი (ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" ყოველწლიური წმინდა შემოსავალი შეადგენს 80000 მანეთი) | 80,0 ათასი მანეთი |
| საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის საქვეუწყებო ორგანიზაციების ყოველწლიური მოგებიდან 15-პროცენტიანი ანარიცხები | მიღებული მოგების მიხედვით |
| **სულ** ერთჯერადი | 60,0 ათასი მანეთი |
| ყოველწლიური | 162,0 ათასი მანეთი |
| ყოველწლიური | მიღებული მოგების მიხედვით |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 აგვისტოს № [illegible]
დადგენილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მისაღები ორგტექნიკისა და სხვა ინვენტარისა

| ორგტექნიკის დასახელება | რაოდენობა | ღირებულება | მანეთი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| კაბინეტის მაგიდა | 8 ცალი | 450 | 3600 | 1990 წელი |
| საწერი მაგიდა | 30 ცალი | 100 | 3000 | " |
| სკამი | 150 ცალი | 20 | 3000 | " |
| **გასამრავლებელი აპარატი „უბიქს"-ი** | 1 ცალი | 8000 | 8000 | " |
| ელექტროგამომთვლელი მანქანები | 15 ცალი | 200 | 3000 | " |
| კონდიციონერი „ბკ-2500" | 10 ცალი | 450 | 4500 | " |
| ვიდეომაგნიტოფონი **ხმისჩამწერი აპარატებით** სხვა მოწყობილობებთან ერთად | 1 ცალი | 5000 | 5000 | " |
| საწერი ქაღალდი | **1 ტონა** | 600 | 600 | ყოველწლიურად |
| ბენზინი | **8 ტონა** | 520 | 4160 | ყოველწლიურად |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**



შეკ. 85

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 აგვისტოს № 445
დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტიდან მისაღები ორგტექნიკისა და სხვა ინვენტარისა

| ორგტექნიკის დასახელება | რაოდენობა | ღირებულება | მანეთი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| სეიფი | 16 ცალი | 115 | 1840 | 1990 წელი |
| ტელეფონის აპარატი | 40 ცალი | 30 | 1200 | " |
| საწერი მანქანა | 6 ცალი | 420 | 2520 | " |
| მაცივარი | 2 ცალი | 500 | 1000 | " |
| მაგნიტოფონი „ელექტრონიკა"-301 | 4 ცალი | 350 | 1400 | " |
| მაგნიტოფონის კასეტები | 20 ცალი | 10 | 200 | " |
| ფერადი ტელევიზორი „რუბინი" | 2 ცალი | 800 | 1600 | " |
| ელექტრონათურა | 150 ცალი | 0-50 | 75 | ყოველწლიურად |
| ავტოსაბურავები | 12 ცალი | 45 | 540 | ყოველწლიურად |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1989 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-89 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 8,5, სააღრიცხვო თაბახი 8,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 1162 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა